საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადისიბაგე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 4 დეკემბერი. 2023 წ. №135-136 (9667-9668) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

ჟურნალისტიკა და ბინძური პოლიტიკა

გიორგი მამაცაშვილი:

„ტრ..ში აყვავებული ბროწეული“ უნდა გერქვას შენ!

იხ. 7 გვ.

4

ლიტერატურული ლინგვისტიკაში

ინესა მერაბიშვილი:

ხატი სიტყვაშია, ვითარცა ჯინი – ჭურჭელში...

ისევ გახლეჩილი ქვეყანა!!!

იხ. 3 გვ.

ერთობის მანიფესტი აფსაიდში და პრეზიდენტის მცოცავი ოკუპაცია

ოჰ, ეს გაურკვეველი მოლოდინი, ცხრა დათქმით!..

იხ. 5 გვ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების პასუხები

ქმობისა და მეგობრობის ეტალონი

8 9

ბონდო ჯიქია – ღირსეული, ღვაწლმოსილი მამულიშვილი

დავით ქართველიშვილი:

დოკუპაციის საკითხში ჩვენთვის წარმატების მოტანა შეუძლია მხოლოდ ჩინეთს!

6

ლევან ნიკოლეიშვილი:

საკაშვილმა საკუთარი მანიფესტით „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ კუბოში ბოლო ლურსმანი ჩაჭედა

6



13

წიგნი – საჩუქრად საქართველოს...

„აი, რად უყვართ საქართველო“ მსოფლიო ქნარებს!..

ბრაილის შრიფტით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ უსინათლოებს პოეზიის მზეს დაანახვებს!

იხ. 9 გვ.

ჯანმრთელი, მწვანე მომავალი ჩვენს შვილებს!

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა გაეროს კლიმატის ცვლილების 28-ე კონფერენციაზე

ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა, მოგმართოთ საქართველოს მთავრობისა და ხალხის სახელით. მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო მის უმაღლესობას, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიდ ალ ნაჰიანს, არაბეთის გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს გულუხვი სტუმართმოყვარეობისა და დუბაიში ამ მნიშვნელოვანი სამიტის მასპინძლობისთვის.

არაბთა გაერთიანებული საამიროები მართლაც არის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და მოდერნიზაციის, კრეატიულობისა და პროგრესის სამაგალითო ქვეყანა გლობალური მასშტაბით. და ახლა, ის კლიმატის მდგრადობის ძალისხმევასაც თაოსნობს.

ძვირფასო კოლეგებო, კლიმატის ცვლილების თვალხილული ეფექტი, რომელიც სულ უფრო მძიმდება და დამანგრეველ გავლენას ახდენს როგორც ადამიანებზე, ისე გარემოზე, დაჩქარებულ ძალისხმევას მოითხოვს კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, მტკიცედ მწამს, რომ კლიმატურ კრიზისებთან გასამკლავებლად რამდენიმე ძირითადი საერთაშორისო ძალისხმევა უნდა შენარჩუნდეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ესენია:

- 2030 წლისთვის გლობალური ემისიების განახევრება და 1.5⁰C ზღვრული ოდენობის შენარჩუნება პარიზის შეთანხმების შესაბამისად;
- ზარალისა და ზიანის ფონდში შენატანების თანამიმდევრული განხორციელება;
- ჩარჩო-სისტემის შემუშავება კლიმატის ადაპტაციის გლობალური მიზნის მისაღწევად.

ასევე, უნდა შესრულდეს კლიმატის ცვლილებებთან გამკლავებისთვის ძალისხმევის დაფინანსების დაპირება წელიწადში 100 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით განხორციელებული ძალისხმევის დაფინანსების გაორმაგების თაობაზე ნაკისრი ვალდებულებაც უნდა შესრულდეს.

საქართველოში სერიოზულად ვუდგებით კლიმატურ კრიზისებთან გამკლავების როლს და მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადავდგით ამ მიმართულებით. გარემოზე ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოიყო წელს საქართველოში. უფრო მეტიც, ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება უკვე ითვალისწინებს დაბალი ნახშირბადის და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ღონისძიებებს, რაც წელიწადში 300 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ჩემი მთავრობა მხარს უჭერს იდეას, რომლის თანახმადაც ევროპა გახდება პირველი კონტინენტი ატმოსფერული ემისიების ნულოვანი ნაშთით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გრძელვადიანი სტრატეგია დავამტკიცეთ ქვეყანაში მცირე ემისიების უზრუნველსაყოფად, ხოლო „ნახშირბადისადმი ნეიტრალიტეტი“ 2050 წლის მნიშვნელოვან სამიზნე ორიენტირად გამოვაცხადეთ. საქართველო ასევე კისრულობს ვალდებულებას გლობალურ ძალისხმევაში წვლილის შესატანად 2025 წელს წარმოადგინოს ახალი და უფრო ამბიციური ეროვნული გეგმა.

ასევე, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის თითქმის 85% განახლებადი წყაროებიდან მოდის. თუმცა, მისი წილის შემდგომი გაზრდა ჩვენს სტრატეგიულ პრიორიტეტად რჩება და მოხარული ვარ განვაცხადო, რომ საქართველო უერთდება გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციის გლობალურ დაპირებას განახლებადი რესურსებისა და ენერგოეფექტიანობის შესახებ.

ძვირფასო კოლეგებო, მტკიცედ ვუჭერ მხარს გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციის თავმჯდომარე ქვეყნის ხედვას განახლებადი ენერგორესურსების გაზრდის შესახებ, რათა ეტაპობრივად მოხდეს წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება. მიმაჩნია, რომ ოფიციალურმა მოლაპარაკებამ შედეგად უნდა მოიტანოს 2030 წლისთვის განახლებადი ენერგორესურსების გასამმაგებისა და ენერგოეფექტიანობის გაორმაგების ვალდებულება, წიაღისეული საწვავის ჩანაცვლების უწყვეტ პროცესთან ერთად.

დაბოლოს, იმედი მაქვს, რომ გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების 28-ე კონფერენციის ფარგლებში ჩვენ შევძლებთ მოვემზადოთ უნიკალური მომენტისთვის და შევასრულოთ ჩვენი დანაპირები – უფრო ნათელი, ჯანმრთელი და მწვანე მომავალი შევუქმნათ მომდევნო თაობებს.

დიდი მადლობა!

2 დეკემბერი, 2023 წ.

აბსურდული „ტვ. პირველის“ ტყუილები გრძელდება!

ტელეკომპანია „პირველი“ აგრძელებს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ დეზინფორმაციულ კამპანიას, რომლის მიზანია თავდაცვის ძალების, სახელმწიფო სტრუქტურების და უწყების წარმატებული რეფორმების დისკრედიტაცია, რაც სრულიად ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა და მიზნად ისახავს ჯარში წასვლის მსურველთა შეცდომაში შეყვანას, – ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია.

უწყების ცნობით, როდესაც ამ ტელევიზიამ თავდაცვის მინისტრის ოჯახის წევრებზე აბსურდული ინფორმაცია გაავრცელა, სამინისტრომ ეს უპასუხოდ დატოვა, თუმცა, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ახლა საქმე ეხება ქართულ ჯარს და სახეზეა ჯარის იმიჯის მიზანმიმართული დაზიანების მცდელობა.

„ამჯერად, ტელეკომპანიამ გაავრცელა ცრუ ინფორმაცია თავდაცვის ძალების საკვებით მომარაგებაში ხარისხთან დაკავშირებული ხარვეზებისა და უნიფორმების შესახებ. აღნიშნულ სიუჟეტში, სამწუხაროდ, გამოყენებული იყო აბსოლუტურად ობიექტური წყაროს და ფაქტების დასახელების გარეშე ცრუ ინფორმაცია.

ნიშანდობლივია, რომ კვების და უნიფორმის კონტროლი გაძლიერდა 2020 წლიდან და ამის ერთ-ერთი დასტურია ხარისხის კონტროლის ცალკე სამმართველოს შექმნა. ხორცის ყოველდღიური რაციონის ნორმა 250 გრამიდან 480 გრამამდე გაიზარდა და გამრავალფეროვნდა სამხედროებისთვის განკუთვნილი მენიუ. მინისტრის აქტით, პირველი ხარისხის ხორცი შეიცვალა უმაღლესი ხარისხით, მათ შორის ნედლი გაუყინავი საქონლისა და ღორის ხორცით.

ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამხედროების უნიფორმისა და ფეხსაცმლის ხარისხი. არასდროს 2020 წლამდე ჩვენს ჯარს მასიურად არ ამარაგებდა გერმანული ფეხსაცმლის მწარმოებელი მსოფლიოში საუკეთესო ბრენდები.

სამწუხაროა, რომ აღნიშნული ტელევიზია მიზანმიმართულად ცდილობს თავდაცვის ძალების და ზოგადად, ჯარში სამხედრო სამსახურის მიმართ დაამკვიდროს ნეგატიური განწყობები და სტერეოტიპები, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გამოწვევებს და ჯარის გაძლიერებისკენ მიმართულ მიმდინარე რეფორმებს.

უწყება მზად არის ნებისმიერ დროს, წინასწარ, ობიექტის დასახელების გარეშე დაინტერესებულ მხარესთან ერთად ჩაატაროს კვების მონიტორინგი“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ზურაბ აზარაშვილი:

ნებისმიერ ონკოლოგიურ პაციენტს შესაძლებლობა აქვს, რომ სრულად, სახელმწიფო დაფინანსებით იმკურნალოს

– აღნიშნულის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.

ჯანდაცვის მინისტრმა ბავშვთა ონკოლოგიაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც გამოსავლებს, ასევე მიმდინარე პერიოდში სამედიცინო მომსახურების ხარისხსაც. რაც შეეხება, ონკოლოგიურ ქირურგიას, ჯანდაცვის მინისტრის თქმით, როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი ოპერაციები ქვეყნის მასშტაბით ყველა ონკოპაციენტს დაუფინანსდება.

„მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ასევე, ჯანდაცვის სამინისტრომ, პირდაპირი შესყიდვის გზით, ინოვაციური ონკოლოგიური მედიკამენტების შესყიდვის პროცესი დაიწყო. აღნიშნული წესით, სახელმწიფო ძვირადღირებულ მედიკამენტებს სპეციალურ, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად შეიძენს და ონკოლოგიურ პაციენტთა სრულ საჭიროებებს დაფარავს“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

შშმ პირთა უფლებების დაცვა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე იყო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი ინტერესების სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირება კვლავ რჩება ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, – ამის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

„საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები ხორციელდება როგორც კოორდინაციის, ისე სერვისების მიწოდებისა და მისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სახელმწიფომ გაეროს კომიტეტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ანგარიში წარუდგინა, რომელიც ქვეყანაში შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას აღწერს. ამის შემდეგ კომიტეტმა სახელმწიფოს მიმართ გასცა რეკომენდაციები. კომიტეტისგან მიღებული რეკომენდაციების აღსრულების ხელშეწყობას და კოორდინაციას 2021 წელს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი საქართველოს მთავრობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი გააგრძელებს, შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად.

საჯარო დაწესებულებები, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განაგრძობენ ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავებას და აღსრულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად.

2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგია. 2023 წლის 23 მარტს სტრატეგია დამტკიცდა პარლამენტის მიერ. აღნიშნული ყოვლისმომცველი დოკუმენტი მოიცავს ყველა ფუნდამენტურ უფლებასა და თავისუფლებას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე.

კახა კალაძე: 4 დეკემბრიდან უნივერსიტეტის ქუჩაზე მოძრაობა ორმხრივად აღდგება

უნივერსიტეტის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა 4 დეკემბრიდან ორმხრივად იქნება შესაძლებელი. ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ვიდეო მიმართვისას განაცხადა.

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანის განცხადებით, ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

„დღეის მდგომარეობით, საგზაო სავალი ნაწილი სრულად დასრულებულია. ამჟამად, მიმდინარეობს დახაზვის სამუშაოები, პარალელურად კი – შუქნიშნებისა და გაჩერებების მონტაჟი. ფაქტობრივად, დასრულებულია გარე განათების მონტაჟი. მიმდინარეობს ტერიტორიის გამწვანება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტროტუარებზე მოეწყო შესაბამისი არხები, სადაც მოხდება საჰაერო სადენების მიწის ქვეშ განთავსება. გარდა ამისა, არის ლოკალური ადგილები, სადაც ტროტუარების სამუშაოები მიმდინარეობს“, – განაცხადა ირაკლი ბენდელიანმა.

ქ-ნი სალომე თვითონვე იგონებს აქტიურ სამოქმედო თემებს და მოცოცავს, მოცოცავს ვითარცა რუსი ოკუპანტი სამაჩაბლოში. ამჟამად იგი ბეჯითად დაიარება ქალაქებსა და სოფლებში და ხალხს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ...

ისევ გახლეჩილი ქვეყანა!!!

ერთობის მანიფესტი აფსაიდში და პრეზიდენტის მცოცავი ოკუპაცია

ნოემბრის გოლო დეკადა საქართველოში მანიფესტების აფეთქების ჟამი იყო. რევოლუციურ, ფსევდორევოლუციურ, ანტირევოლუციურ, ფეიკრევოლუციურ პროგრამებს, მოწოდებებს და პროვოკაციებს წერდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, ვინც მეტნაკლებად იცოდა წერა-კითხვა და ზერელე წარმოდგენა მაინც ჰქონდა სიმართლესა და სამართლიანობაზე.

უპირველესი იყო მიშას დიდი დაზანზარება 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავზე, რომელმაც, მოგეხსენებათ, თურმე სრულიად შეცვალა XXI საუკუნის აზრთმდინარება. საქართველოს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისში ჯერ არნახული საიუბილეო ღონისძიება ჩაატარა. ჯერ არნახულიო, ვამბობ სრულიად კანონზომიერად, იმიტომ, რომ იქ სიტყვებით გამოვიდნენ თანამედროვე საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური აზრის გიგანტები: პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი („არ მოგენატრათ გამარჯვების გემო? არ მოგენატრათ გამარჯვების ყიჟინა?.. აუცილებლად გავიმარჯვებთ!) და ძალად მაცხონე გიორგი ვაშაძე („ქუდზე კაცი უნდა შევიკრიბოთ, რა გვაქვს გასაყოფი?).

მთავარი წინ იყო.

საიუბილეო ზეიმზე წარსდგა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი სოფო ჯაფარიძე, რომლის ყოველ ჭორვილურ გამოხდომასაც ხალხი გაკვირვებით ხვდება, კტო ეტო პასტრადავშიო?! ჰოდა, ამ შავ-ყვითელა სოფომ დარბაზს წარუდგინა მიხეილ სააკაშვილის 11 პუნქტიანი მანიფესტი „რუსი ოლიგარქი ან საქართველო, ტოტალური შეტევა სისტემაზე“.

ამ სუპერ კავალერისტული დოკუმენტის ორი პუნქტი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: მე-5 და მე-9, ისინი მანიფესტის ბიცეფსებია. “საქართველოში ხელისუფლება მიტაცებულია რუსი ოლიგარქის მიერ, რომელიც ანადგურებს ერის ბუნებრივ სტრუქტურას, ლამობს ქართული მებრძოლი სულის ჩანაცვლებას უმწეობის და მონობის სულისკვეთებით. ახლავე თუ არ გავნთავისუფლდებით მისი მარწუხებიდან, საქართველო შეიძლება გაქრეს“.

მიმართვაში ეს ასე დაკონკრეტდა: **ჩვენ უნდა განვახორციელოთ ტოტალური შეტევა ოლიგარქზე და გვახსოვდეს, რომ ჩვენს ტოტალურ შეტევას ექნება ასეთივე ტოტალური საერთაშორისო მხარდაჭერაო...ან ოლიგარქი, ან საქართველო და გამარჯვებაო!..**

ამ დიადი საბრძოლო მოწოდებიდან უმალ ის ხდება საცნაური, რომ 2012 წლის კატასტროფული მარცხი არ დავიწყებია მესამე პრეზიდენტს, არა და არ დავიწყებია (ბუნებრივია, არც დაავიწყდებოდა, ასეთი რამ არ ავიწყდებათ), იმ მარცხს ვერ შეგუებია ბატონი მიშა და წერას ჰყავს ატანილი, როგორმე რამე უხიმანდროს „რუს ოლიგარქს“, თავის პირად მტერს.

მე-9 პუნქტი უფრო მეტია, ვიდრე 2024 წლის არჩევნებში გამარჯვება. აბა, მოვუსმინოთ: “ნაცმოძრაობა გაატარებს დემოგრაფიული მდგომარეობის სწრაფი და მკვეთრი გაუმჯობესების საჭირო სახელმწიფო პოლიტიკას“.

აქ ორი ვარაუდი იბადება. პირველი: მანიფესტის თანაავტორს მიხეილ სააკაშვილს უთუოდ პირადი გამოცდილება არწმუნებს დემოგრაფიული მდგომარეობის სწრაფი და მკვეთრი გაუმჯობესების შესაძლებლობაში. მეორე: რაკიღა ამ საქმის სახელმწიფო პოლიტიკაზე დაფუძნების საჭიროებაზეა ლაპარაკი, უთუოდ რაღაც ახალი და რადიკალური აქვს მიშას ჩაფიქრებული. მაგალითად, სახელმწიფოს სათავეში ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში, შეიძლება დანერგოს ოთხცოლიანობის პრაქტიკა მეზობელი მუსულმანური ქვეყნების მსგავსად, ან ოფიციალური ქორწინების პარალელურად ქუდზე კაცისთვის სავალდებულო გახადოს 2-3 სექსმუშაკის დახმარება. სხვაგვარად მანიფესტის ამ ინიციატივიდან არაფერი გამოვა.

მანიფესტის გარდა მიშამ “ვივამედის“ სააზროვნო მწვერვალებიდან იმ დღეს სოცქსელში გადმოღვარა კიდევ ერთი მოწოდება, რომელმაც ხალხი უთუოდ უნდა აიყვანოს ბარიკადებზე: მე ვიღებ პოლიტიკური პარტიის ლიდერობას და ძალიან გამიხარდება, თუ მაქსიმალურად ბევრნი ვიქნებით ამ ბრძოლაშიო. იგი ძალიან გაახალისა და დააიმედა საიუბილეო ზეიმზე მისულმა ხალხმა, ეს ღონისძიება დასტურია იმის, რომ ნაცმოძრაობა ნამდვილად ცოცხალიაო.

აქვე ისე, გაკვრით, მხოლოდ ცნობისათვის ვიტყვი, რომ ამ მანიფესტში, მოწოდებებსა და სხვა საბრძოლო დოკუმენტებში არსად დავიწყებული არ არის მისი დიდი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ის, რომ სწორედ მან დააბრუნა საქართველო მსოფლიოს რუკაზე.

ყოველივე ამის შემდეგ ეჯვს აღარ იწვევს, რომ მიშამ, კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთმა, უკვე ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხა დემენცია და 40 ყაჩაღი. მას აღარ სჯერდება მაისურის ხშირ-ხშირად აწევა და ნენ ჩრდილოეთში იძულებით ყოფნითა და შრომით, ხომ გამოიღადრავს ყელს ფსევდოლელოელი სალომე სამადაშვილი ამ გაუგონარი დისკრიმინაციის გამო, ხომ მოიგლეჯს იმ ისედაც გრძელ ცხვირს თავად მამუკა ხაზარაძე?!

ამასობაში უნგრეთის მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც აკრძალავს საარჩევნო კამპანიების უცხოეთიდან დაფინანსებას. არ შეიძლება არ მოუწონო უნგრეთს ეს საჭირო ინიციატივა, რომელიც ბევრ, უცხოეთისკენ დაელამებულ ორგანიზაციას გამოაცლის ფეხქვეშ ნიადაგს. ამიტომ მგონია, რომ უნგრეთიდან ამ ინიციატივის გადმოღება საჭირო და აუცილებელია, ნათლად გამოჩნდება რამდენ კვიპროსულ საკენკზე დაფრთიანებულ დედალსა და ყვერულს ჩამოუვარდება ბიბილო გვერდზე უღონოდ.

საქართველოს ნაიმპიჩმენტალ პრეზიდენტს არავითარი მანიფესტი არ დაუწერია, მაგრამ მისი მცოცავი ოკუპაცია ხელის გულზე დევს. პირველ ყოვლისა ის, რომ ქალბატონმა სალომემ ძალზე სწრაფად მოიშუშა ქვის სროლით ნაგვემი სხეული, მყარად წამოდგა ფეხზე და გაენთო! ერთი სიტყვით, შეჭმას გადარჩენილი ტოტია თავის მტრებს დაერია, ახლა ის მიეტანა მათ შესაჭმელად და ვერ ვიტყვი, რომ უძალოდ.

რაც მთავარია, მოხდა მეტამორფოზა. ის უკვე აღარ არის არავითარი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, მან ეს ყველაფერი გადაზილა და რაღაც ახალი თანამდებობა მოირგო ძველ მოვალეობათა ფიქტიური შენარჩუნებით. დაიმატა განუსაზღვრელი პოლიტიკური აქტივობა და გაფაციცებით დაიწყო თანამოაზრეთა, აქამდე პოლიტიკიდან სხვადასხვა მიზეზით გაბუნძულებული, ოღონდ დღევანდელობის მაჯისცემაზე ფხიზლად დაყურადებული მოქალაქეების შემოკრება.

ამ შავ-ყვითელა სოფომ დარბაზს წარუდგინა მიხეილ სააკაშვილის 11-კუნქტიანი მანიფესტი

ქ-ნი სალომე თვითონვე იგონებს აქტიურ სამოქმედო თემებს და მოცოცავს, მოცოცავს ვითარცა რუსი ოკუპანტი სამაჩაბლოში. ამჟამად იგი ბეჯითად დაიარება ქალაქებსა და სოფლებში და ხალხს მოუწოდებს მხარი დაუჭირონ... ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას(?). მიზანი ნათელია: 15 დეკემბერს ევროკავშირი ბოლოს და ბოლოს მოგვცემს ამ ლეგენდარულ სტატუსს, სალომე ზურაბიშვილის ღიმილისმომგვრელი აქტივობის უმისოდაც. მან ეს მშვენივრად უწყის, მაგრამ იმის საბუთად სჭირდება, დიდი ოფლი მოვიწურე ჩვენს კაიქალობაში ჯიუტი ევროკავშირის დასარწმუნებლადო.

აი, იმ დღესაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს შეება, შავსიელი და ანტისტატუსელი ხარ, სტუდენტებს ჩემს სასახლეში პეტიციაზე ხელის მოსაწერად მოსვლას უშლი, ის კი არა, უნივერსიტეტის ბაღშიც არ უდგამ მაგიდას ხელის მოსაწერადო.

რას არ მოიფიქრებს კუთხეში მიმწყვდეული ადამიანი!

ამასობაში, ნაცმოძრაობის წიაღ დიდი ვნებათაღელვა დუღს. პარტია ფაქტობრივად ორად გახლეჩვის საფრთხის წინაშე დგას. პარტიის თავმჯდომარე ხაბეიშვილი და მთელი მისი სალევანო ნიკა მელიას ებრძვიან, სააკაშვილის მანიფესტზე ხელი არ მოაწერაო. მიაღწიეს კიდეც იმას, რომ ნაცმოძრობის ეს მელოტი ლევ ტროცკი პარტიის გარეშე მყოფად გამოაცხადეს. მელიისტები კი თვითონ ხაბეიშვილის, როგორც თავმჯდომარეობისთვის შეუფერებლის და პარტიაში განხეთქილების შემტანის გადაყენებას მოითხოვენ.

ერთი სიტყვით „ერთობის მანიფესტი“ ჯერჯერობით აბსაითშია.

ყვავს არც ყვანჩალა ჩამორჩა. მამუკა ხაზარაძემ, როგორც თვით-აღიარებულმა ინტელე-ქტუალმა, შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი

ნეკნეგამოჩრილი ფერდის ჩვენება ათასი ჯურის უხვად დაფინანსებული ექიმებისთვის: აი, ფუა, ძიაო! მიშამ ეკრან-ეკრან მოიკეთა, თვალებში საბრძოლო სხივი ჩაუდგა. აი, ტა-ტა-ტა-ტა, მოიდა მიშაი! და მას ახლა ჰაერივით სჭირდება “ვივამედის“ მხსნელი სართულებიდან ჩამოქვეითება, ოღონდ ნაწამები, სასიკვდილოდ გადადებული პრეზიდენტის სამკურნალოდ საზღვრგარეთ გაგზავნაზე ლაპარაკი აღარ არის.

ამაყი მიშა არც მოწყალებას ითხოვს! უბრალოდ, ტელეეკრანის საშუალებით სალომე ზურაბიშვილს „თავი შეახსენა“, მე არ ვთხოვ პრეზიდენტს შეწყლებას, მაგრამ მას შეუძლია ერთი ხელმოწერით დაუბრუნოს ჩემს შვილებს მამა და აღადგინოს ბალანსი საქართველოშიო. ამბობს, ჩემს შვილებს მამა დაუბრუნოსო, სდუმს, თავისი ცოლებისთვის ქმრის დაბრუნებაზე.

ყვავს არც ყვანჩალა ჩამორჩა. მამუკა ხაზარაძემ, როგორც თვითაღიარებულმა ინტელექტუალმა, შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია შეზღუდვების დაწესება საქართველოში ამ ბოლო ხანს აგრერიგად მომრავლებული რუსეთის მოქალაქეებისთვის.

ღმერთო, შეგცოდე და რაღაც ნაცისტურის ავი სუნი გცემს ამ “შეზღუდვებიდან“, რომელიც კონკრეტულად და უკან მოუხედავად მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებისთვის წესდება. ახლა რომ აიღოს ამ საზიზღარი რუსეთის საზიზღარმა ხელისუფლებამ და მსგავსადვე მიიღოს შეზღუდვები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებს არჩე-

ერთობის მანიფესტი „ერთობის მანიფესტი“ ჯერჯერობით აბსაითშია.

P. S ამ დღეებში ფეისბუქში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ ახლად არჩეული გიორგი მამაცაშვილის ძალიან საინტერესო, ღრმა ანალიზის შემცველი პოსტი ნავიკითხე, რომელიც ჟურნალისტებთან პრეზიდენტ ზურაბიშვილის შეხვედრას ეძღვნებოდა. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ლამის ხუთი წლის განამავლობაში არც ერთხელ(!) არ გახსენებია საინფორმაციო სააგენტოები და ბეჭდვითი მედია ქალბატონ პრეზიდენტს.

არასდროს!

არც ერთხელ!

არც როდის!

და ახლა, ცამოწმენდილზე პრეზიდენტის სასახლეში დაპატიჟეს მედია...ევროპულ ზარ-ზეიმს ნებაყოფლობითი ხელმოწერებით შემოუერთდითო. აშკარად ჩანდა, ერთადერთ ოლიგარქად ბიძინა ივანიშვილის შემფასებელ ზურაბიშვილს რაღაც ოღრაშობა ჰქონდა ჩაფიქრებული...სავარაუდოდ ასეცაა. მას მხარდამჭერთა დიდი არმია სჭირდება ევროპელთათვის თავის მოსაწონებლად, შესაძლოა ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელადაც...

უკეთესად ვერ იტყვი!

ალეკო ასლანიშვილი



ხატი სიტყვაშია, ვითარცა ჯინი – ჭურჭელში...

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი

კორესპონდენტი: – ქალბატონო ინესა, როგორც იტყვიან, პირდაპირ საქმით დავიწყოთ: 6 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენ ატარებთ საჯარო ლექციას თემაზე: **„სიტყვის მნიშვნელობა და მისი ახალი სემანტიკური სამკუთხედი“**. ლექცია ეძღვნება ლინგვისტიკაში დამკვიდრებული იმ სემანტიკური სამკუთხედის 100 წლისთავს, რომლის განვითარება თქვენ შეძელით. ამ დროს, საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც ბაირონისა და გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარს, ასევე ამ დიდებულ და სახელოვან პოეტთა მთარგმნელს. რაც შეეხება ბოლოდროინდელ პერიოდს, თქვენ რუსთველოლოგიას მიაპყარით ყურადღება და საინტერესო ხედვით გაამდიდრეთ ეს დარგი. ჩვენი გაზეთის მკითხველს აინტერესებს, თუ **რას წარმოადგენს თქვენი ლინგვისტური კონცეფცია და როგორ მოხდა ამ დარგით თქვენი დაინტერესება?**

ინესა მერაბიშვილი: – როგორც მეცნიერი, მე ჯერ ლინგვისტი გახლავართ და შემდეგ ლიტერატორი. სწორედ ეს ლინგვისტური ცოდნა მეხმარება გენიოს შემოქმედთა ტექსტების კვლევასა და თარგმნაში.

6 დეკემბერს ლექციაზე მე წარმოვადგენ კონცეფციას, რომელმაც გამახსნევინა და მათარგმნინა გალაკტიონი...

ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე, იქნება ეს ფილოსოფოსი, მწერალი, თუ ენათმეცნიერი, ყველას აინტერესებს სიტყვის რაობა და მისი შესაძლებლობები. პირველად იყო სიტყვა... ადამიანი სიტყვით აზროვნებს და სიტყვით შეიმეცნებს სამყაროს. ამ თვალსაზრისით, XX საუკუნემ სხვა გადამწყვეტი როლი შეასრულა. 1923 წელს ლინგვისტმა ჩ.ოგდენმა და ფილოსოფოსმა ი. რიჩარდზმა ლონდონში გამოაქვეყნეს ერთობლივი ნაშრომი, სადაც სიტყვის მნიშვნელობა **სემანტიკური სამკუთხედის** სახით წარმოადგინეს. მიუხედავად ამ სამკუთხედის გვერდების ვარიაციისა, მისი ყველაზე მარტივი მოდელი შემდეგნაირია: სიტყვის სახელდება, რომლის ტერმინია **ნომინაცია (N),** ამ სიტყვაში ასახული ცნება, ე.ი. **სიგნიფიკატი (S)**, და რეალური სამყაროს ასასახი საგანი, რომელსაც დღეს მრავალი ტერმინით აღნიშნავენ, მათ შორის, **რეფერენტი (R)**.

იმავე 1923 წელს რუსეთში ალექსეი ლოსევმა დაასრულა მონოგრაფია „სახელის ფილოსოფია“, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა. მონოგრაფიის სათაური უკვე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დიდმა მეცნიერმა სახელის ანალიზი გაბედულად დაუპირისპირა ენათმეცნიერებაში სოსიურის მიერ დამკვიდრებულ აზრს სიტყვის, როგორც ნიშნის პირობითობაზე და სიტყვის უცვლელ სამოსში დიდი მისტიციზმიც ჩადო.

ამ ხედვებს მნიშვნელოვანი ძვრები უძღოდა წინ: XIX საუკუნის დამლევს, მიშელ ბრეალი საფრანგეთიდან მოუწოდებს ლინგვისტებს, ფონეტიკისა და მორფოლოგიის გვერდით დაფუძნდეს მეცნიერების დარგი, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის. ამ ახალი დარგისთვის მან წამოაყენა ტერმინი „la **semantique**“, „სემანტიკა“, როგორც ბერძნულიდან ნაწარმოები სიტყვა, სადაც „სემა“ ნიშანსა და „მნიშვნელობას“ აღნიშნავს. ბრეალის თანახმად, სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც ოდითგანვე ერთ მთლიან უშლელ ერთობად განიხილებოდა, იშლება მნიშვნელობის მატარებელ სხვადასხვა ნაწილაკებად, ანუ **სემებად,** რომელთაც განსხვავებული ხვედრითი წონა აქვთ და ადგილმონაცვლეობას განიცდიან კონტექსტის შესაბამისად. მოგვიანებით ენათმეცნიერები იტყვიან, რომ სიტყვის მნიშვნელობის სემებად დაშლა ისეთივე დიდ გადატრიალებას ნიშნავდა ენათმეცნიერებაში, როგორსაც ატომის დაშლა ფიზიკაში. ასე გაჩნდა ტერმინები „სემანტიკა“, „სემური ანალიზი“, „სემანტიკური სამკუთხედი“ და თავად „სემასიოლოგია“, როგორც ლინგვისტიკის უაღრესად პერსპექტიული დარგი.

კორესპონდენტი: – თქვენ ბრძანდებით ის პირველი მეცნიერი, ვინც ლინგვისტური მეთოდით გახსენით გალაკტიონის ენიგმები, ანუ მისი სიტყვიერი გამოცანები, ხოლო შემდეგ, ამ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, ისე თარგმნეთ გალაკტიონი ინგლისურად, რომ მაღალ შეფასებასთან ერთად ამ თარგმანებმა გალაკტიონს დასავლეთში საოცარი აღიარება მოუტანა. კარგი იქნება, თუ მარტივი ენით წარმოგვიდგენთ რომელიმე ენიგმის ანალიზს, თუნდაც, **„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“** იმავე სათაურის მქონე ლექსიდან.

ი.მ: – გალაკტიონის ენიგმები მე სწორედ სემასიოლოგიური ანალიზის მეთოდით ავხსენი, რასაც კომპონენტურ ანალიზსაც ვუწოდებთ. სიტყვა „ღვინო“-ს მნიშვნელობის წამყვანი სემაა ის შინაარსი, რომელსაც ლექსიკონი დაგვიმოწმებს: „ყურძნის ნაწური, თავისით დადუღებული, მათრობელა სასმელი“. ამ მთავარი სემის ირგვლივ განლაგდებიან მეორეხარისხოვანი სემები, რომელთა შორისაც ამჯერად, გამოვყოფთ შემდეგს: „ზეაწეული განწყობილება“, „გულახდილობა“, „პირდაპირობა“, „გამბედაობა“ და ა.შ. რაც შეეხება სიტყვას „ცისფერი“, მისი ცნების ღერძია შემდეგი: „რაც ფერით ცას მოგვაგონებს, ღია ლურჯი“, რომელთანაც თანაარსებობენ მეორეხარისხოვანი სემები, მაგალითად, „ამაღლებული“, „ციური“, „არამიწიერი“, „ზებუნებრივი“ „სუფთა“, „სპეტაკი“, „ნათელი“ და ა.შ. შესიტყვების ამ ორი წევრის დაკავშირება საკმაოდ ნაყოფიერი და შემოქმედებითი გამოდგა. თუ ღვინოებში ვიგულისხმებთ „თრობას“, „ზეაწეულ განწყობილებას“, „პირდაპირობას“, „გულახდილობას“, „გამბედაობას“ და ა.შ. მაშინ ეს მდგომარეობა თავისუფლად შეიძლება განისაზღვროს ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა „ამაღლებული“, „ციური“, „არამიწიერი“, „ზებუნებრივი“, „სუფთა“, „სპეტაკი“, „ნათელი“ და ა.შ.

ამ შესიტყვებას ორი ძირითადი შინაარსობრივი ხაზი უვითარდება. ერთი მხრივ, ეს არის სულის ტირილი ზეაწეული, სუფთა განწყობითა და მიწიერებისაგან განდგომით, ხოლო მეორე მხრივ, ეს გახლავთ ტირილი გამჭვირვალე ცისფერი კურცხლით, რომელიც პოეტს ღვინის წვეთებისთვის შეუდარებია. ამდენად, ერთი სიტყვა მეორესთან შეერთებულია პოეტური მოულოდნელობის პრინციპით, რაც ინდივიდუალურ შემოქმედებით ხედვაზეა დამყარებული და ქმნის ისეთ ტევად შინაარსს, რომლის გადმოცემას პროზაში პასაჟებიც არ ეყოფოდა, რომ არაფერი ვთქვათ გამოხატვის სისხარტესა და მაღალმხატვრულ ესთეტიზმზე. აი, ახლა უფრო გასაგები ხდება, თუ რას გულისხმობს რუსთველის აფორიზმი - **„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“**, სადაც დიდი შინაარსის მოკლედ გამოხატვის საშუალებად შაირი, ანუ ლექსი მიიჩნევა.

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“...

კორესპონდენტი: – ქალბატონო ინესა, დავუბრუნდეთ სემანტიკურ სამკუთხედს.

ი.მ: – 1923 წელს შექმნილი სამკუთხედის მართებულობა მუდამ ეჭვს ბადებდა ჩემში იმის გამო, რომ რეფერენტი, არაა ლინგვისტური მოვლენა, არამედ ექსტრალინგვისტურია, რადგან ის მხოლოდ გარე სამყაროს ფენომენი გახლავთ. ამდენად, ჩემს წინაშე იდგა შემდეგი ამოცანა: რა სახით აისახება გარე სამყარო სიტყვაში? **ენისა და აზროვნების** ურთიერთკავშირი და ცნება, როგორც მათი გამაერთიანებელი რგოლი, უდავოა, ვერ ფარავს ადამიანის ტვინისა და ნერვული სისტემის მიერ სინამდვილის ასახვის მთლიან სურათს, რომელიც ჩვენ **ცნობიერებად** წარმოგვიდგება. იმ ხანად, **ენისა და ცნობიერების** საკითხი შემეცნების თეორიაში უკვე აქტუალური ხდებოდა. ჩემი ამოცანა იყო, შემესწავლა სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ცნობიერების გზით სინამდვილის ასახვის შედეგი.

თანახმად დიდი რუსი ფიზიოლოგის **ივან პავლოვის** თეორიისა სინამდვილის ორი სასიგნალო სისტემის შესახებ, სიტყვა წარმოადგენს მეორე სასიგნალო სისტემას, რომელსაც აქვს განზოგადებისა და განყენების უდიდესი ძალა. პირველი სასიგნალო სისტემა გულისხმობს ყველაფერს, რაც გაგვაჩნია შთაბეჭდილებების, შეგრძნებებისა და წარმოდგენების სახით გარე სამყაროდან, გარდა სიტყვისა, რომელიც ჩვენ გვესმის, ან რომელსაც ვხედავთ. სიტყვა, როგორც მეორე სასიგნალო სისტემა, გვევლინება პირველი სასიგნალო სისტემის სიგნალად, ანუ „სიგნალის სიგნალად“, რომელიც შეადგენს ადამიანურ, უმაღლეს აზროვნებას და განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან.

პირველ სასიგნალო სისტემაში სამყაროს შეგრძნებითი ასახვა ანაბეჭდის გზით ხდება, ხოლო მეორე სასიგნალო სისტემაში, რომელიც მაღალი ორგანიზაციის მქონეა, სიგნალის შინაარსი იდეალური ხატის სახით გვევლინება. გნოსეოლოგიაში ხატი ფუნდამენტურ კატეგორიას წარმოადგენს და იგი იხმარება როგორც გრძნობით ასახვასთან, ისე აბსტრაქტულ აზროვნებასთან კავშირში.

აზრობრივი ხატის არსებობა სიტყვაში ეჭვგარეშეა და ეს ხატი ცნებაა. რაც შეეხება გრძნობითი ხატის არსებობის აღიარებას სიტყვაში, აქ ხდებოდა მთავარი გაუგებრობა: ინტუიციურად ამას ფილოსოფოსიც ხვდებოდა, ფიზიოლოგიც და ლინგვისტიც. ი. რიჩარდზი, როგორც სემანტიკური სამკუთხედის ერთ-ერთი ავტორი, ფილოსოფოსი გახლდათ. რომ არა გრძნობითი ხატის ინტუიციური შეგრძნება, ის რეფერენტს სიტყვის მნიშვნელობის სამკუთხედში არ შეიტანდა. ფიზიოლოგი პავლოვი კი წერდა: „თუ გსურთ სიტყვა იხმაროთ, მაშინ ყოველ წუთს თქვენი სიტყვების მიღმა სინამდვილე იგულისხმეთო“. რაც შეეხება ენათმეცნიერებს, ისინი ფართოდ მსჯელობენ ხატის არსებობაზე, მაგრამ ძირითადად სტილისტიკის პოზიციიდან და არ უკავშირებენ სიტყვაში არსებულ ხატს ფილოსოფიურ და ფიზიოლოგიურ ცოდნას. ამ დროს ხატის არსებობა სიტყვაში აშკარაა, რადგან სწორედ ეს ხატი, და არა მხოლოდ ცნება, რომელიც ცვლილის გუნდასავით სახეცვლილებას განიცდის, ქმნის სიტყვის ხატოვანებას. გრძნობითი ანაბეჭდიდან სიტყვაში განვითარებულ ხატს, ბუნებრივია, ლინგვისტური ხატი უნდა ეწოდებოდეს, რადგან სიტყვა ლინგვისტური მოვლენაა.

„ლინგვისტური ხატის“ აღსანიშნავად ენათმეცნიერებას შევთავაზე ტერმინი „linguistic image“, უფრო მოკლედ - „Image“ (ინგ. ხატი), რაც შესაბამისად, **„I“** ნიშნით გამოვსახე. ასე მივიღე **ახალი სემანტიკური სამკუთხედი**, სადაც ნომინაციისა **(N)** და სიგნიფიკატის **(S)** გვერდით განვათავსე ხატი - **Image (I)**. სიტყვის მნიშვნელობის სამივე კომპონენტი დიალექტიკურ კავშირში არიან და აკმაყოფილებენ აქამდე მრავალ პასუხგაუცემელ შეკითხვას, არა მხოლოდ ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ბუნებრივია, კვლევა გაგრძელდება და სიტყვის მნიშვნელობის მრავალი ახალი პარამეტრი წარმოჩინდება. თუმც, მჯერა, რომ ყოველივე ამ მყარი სამკუთხედს ირგვლივ იტრიალებს.

ცნებისგან განსხვავებით, **ლინგვისტური ხატი უცვლელი ფენომენია**, ისევე, როგორც მისი სახელდება, იქნება ეს სიტყვა ნახმარი ჩვეულებრივი თუ უჩვეულო მნიშვნელობით. ლინგვისტური ხატი არამხატვრულ ორდინარულ ენაში მიყუჩებული და დაჩრდილულია. არამხატვრულ, მაგრამ თუნდაც ექსპრესიულ მეტყველებაში, მოსაუბრე სიტყვის მნიშვნელობის ფსკერს ეხება და იქიდან ამოზიდავს მის ხატოვანებას, რათა უფრო შთამბეჭდავი გახადოს თავისი სათქმელი. ასეა პოეზიაშიც, ოღონდ, აქ სიტყვის ფსკერზე მიძინებული ხატი სიტყვის ოსტატის ხელში, ინდივიდუალური ხედვისა და შემოქმედებითი ნიჭის წყალობით, უკვე სასწაულებს ახდენს. **ხატი სიტყვაშია, ვითარცა ჯინი – ჭურჭელში**, ოღონდ, მას თავისი ჯადოქარი სჭირდება, რათა ის სინათლეზე გამოიყვანოს და ახალ-ახალი სახეებით წარმოგვიჩინოს. ამიტომაც იყო, რომ პოეზიას ბოდლერმა „ჯადოსნური შელოცვა“ უწოდა.

ლინგვისტური ხატის გამოვლენა, მით უმეტეს, ფილოსოფიური და ფიზიოლოგიური ცოდნით გამყარებული, დიდ სამსახურს გაუწევს მხატვრული ტექსტისა და, საკუთრივ, პოეზიის ანალიზს. მისი ღირებულება კიდევ უფრო იზრდება, როცა საქმე თარგმანს ეხება. როგორ ვთარგმნოთ „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, იმ ზოგადი შინაარსით, რომელსაც ის ქმნის? არამც და არამც! მხოლოდ შესაბამისი ხატების შემცველი სიტყვებით.

კორესპონდენტი: – ინგლისურ სამკუთხედს წელს 100 წელი შეუსრულდა. თქვენ როდის შექმენით ეს ახალი სემანტიკური სამკუთხედი?

ი.მ: – 1982 წელს სამეცნიერო ჟურნალში გამოვაქვეყნე სტატია „სიტყვის მნიშვნელობის საკითხისათვის ენისა და ცნობიერების თვალსაზრისით“. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი პუბლიკაცია სრულყოფილ კვლევას წარმოადგენდა, საკუთრივ, იმ ვარიანტს, რომელმაც 40 წლის შემდეგ მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება, ჩვენში ინტერესი არავის გამოუხატავს. ეს კონცეფცია განვავითარე სადოქტორო დისერტაციაში, ხოლო მოგვიანებით ის შევიდა ჩემს მონოგრაფიაში „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (თბ., 2005).

2016 წელს საქართველოში ტარდებოდა ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო ფორუმი. ლექსიკოგრაფია სიტყვის კვლევაზე აგებული მეცნიერებაა. გადავწყვიტე, დასავლელი კოლეგებისთვის გამეცნო, თუ რა ახალი ცოდნის შეთავაზება შემეძლო მათთვის. მოხსენების წაკითხვას დარბაზშივე მოჰყვა მაღალი შეფასება. ეს გაგრძელდა იმ ინტერესით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო ჟურნალებმა გამოიჩინეს კონფერენციის მასალების გაცნობისთანავე და პუბლიკაციები შემომთავაზეს. სწორედ ამ ფონზე, 2018 წელს ნიუ იორკის ლინგვისტურმა ჟურნალმა ამირჩია თავის სარედაქციო სამჭოს წევრად. ინტერესი გრძელდება და მეც ვაგრძელებ პუბლიკაციებს. ალბათ, დადგა დრო, ჩემმა ქართველმა კოლეგებმა მეტი მოისმინონ ჩემგან ამ საკითხზე, თუნდაც 40-წლიანი შუალედით. ასე გადავწყვიტე ამ თემაზე საჯარო ლექციის მოწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ჩემს მიერვე დაფუძნებულ თარგმანმცოდნეობის კათედრას ვხელმძღვანელობ.

კორ: – გმადლობთ საგულისყურო საუბრისთვის. გისურვებთ წარმატებებს!..

ესაუბრა
რუსუდან ქოგულია

გალაკტიონის კიდევ ერთი წიგნი – საჩუქრად საქართველოს! 13

გიორგი კალანდია:

საქართველოს ისტორიაში ეს არასდროს ყოფილა!

ის, რაც დღეს საქართველოს სამუზეუმო სფეროში ხდება, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასდროს ყოფილა, – ამის შესახებ ისტორიკოსმა, ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კალანდიამ გადაცემა „იმედი LIVE"-ში განაცხადა.

„ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, რომ ჩვენ მოვახერხებდით უცხოეთში გატანილი ქართული კოლექციების შესყიდვას და უკან, სამშობლოში დაბრუნებას – არ დავიჯერებდი. დღეს ჩვენ ეს რეალობა გვაქვს. მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარი, რომლის ნამუშევრების გამოფენას ლუვრიდან დაწყებული, ვერსალით დამთავრებული, ნებისმიერი მუზეუმი ისურვებდა და 30 წლის განმავლობაში დაკარგული იყო, სახელმწიფოს დაუბრუნდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევით ხდება?! ეს არ არის საზოგადოების პასუხი იმაზე, რაც ქართულ კულტურაში ხდება?! დღე არ გავა, ქართულ კულტურაში მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი არ არსებობდეს. დღეს ქართულ თეატრებში, მუზეუმებსა და ესტრადაზე ხდება ისეთი რამ, რაც დიდი ხნის სურვილი იყო"...

ქართულმა კულტურამ მართლაც ბევრი რამ გააკეთა!..

ევროპა იყო ჩვენი ბევრი თაობის ნატვრა და ეს ბევრი თაობის ნატვრა ასრულდა. მე მჯერა გამოთქმის, რომ „ყველა ხალხი იმსახურებს იმ მთავრობას, რომელიც ჰყავს და ყველა მთავრობა აკეთებს იმას, რასაც ხალხი იმსახურებს". ჩვენ მივიღეთ ის, რომ ჩვენი ერის, ხალხის საუკუნოვანი ოცნება აღსრულდა, – ამის შესახებ ისტორიკოსმა, ხელოვნების სასახლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კალანდიამ გადაცემა „იმედი LIVE"-ში განაცხადა.

„ქართულმა კულტურამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში გვეჩვენებინა ჩვენი კულტურული იდენტობა ევროპასთან და ევროპელებს დაენახათ, რამდენად დიდია მენტალური მსგავსება. ის, რომ ვატიკანში ქართული სიმღერა ჟღერდა და ეს იყო საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერილი, ეს არის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია", – დასძინა გიორგი კალანდიამ.

რუსთაველის თეატრმა გორში „იცოცხლე, ვიდრე ცოცხალი ხარ" წარადგინა

რუსთაველის ეროვნულმა თეატრმას გორში სომეხი რეჟისორის ჰაკოფ ღაზანჩიანის სპექტაკლი „იცოცხლე, ვიდრე ცოცხალი ხარ" წარადგინა. სიუჟეტის მიხედვით, ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი მომღერალი, რომელიც წლების წინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა სამშობლოში 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება. მას იმედი აქვს, რომ მნიშვნელოვან დღეს უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გაატარებს, მაგრამ ამაოდ...

გასტროლი საქართველოს კულტურის სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, პროექტის „დედაქალაქის პროფესიული თეატრები რეგიონებში" ფარგლებში ხორციელდება. წელს ეს რუსთაველის თეატრის უკვე მეორე გასტროლია გორში.

ოჰ, ეს გაურკვეველი მოლოდინი, ცხრა დათქმით!..

ევრო-კავშირის წევრი ქვეყნების პასუხები

ევროპული საბჭო საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს. მანამდე, 8 ნოემბერს ევროპულმა კომისიამ გასცა რეკომენდაცია, ქვეყანას სტატუსი 9 დათქმით მიენიჭოს.

„აქცენტი" საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიციით დაინტერესდა და მათ დიპლომატიურ უწყებებს შესაბამისი კითხვით მიმართა. გთავაზობთ მიღებულ პასუხებს:

რუმინეთის ელჩი რაზვან როტუნდუ:

„რუმინეთი, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, ყოველთვის მხარს უჭერს მის ევროპულ მისწრაფებებს".

ბულგარეთის ელჩი ვესელინ ვალკანოვი:

„მჯერა, რომ ევროპულ საბჭოში ბულგარეთი მხარს დაუჭერს ევროკომისიის რეკომენდაციას საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე".



სამხრეთ კავკასიაში ფინეთის ელჩი პირსტი ნარინენი:

„ფინეთის მთავრობამ პოზიტიური პასუხი გაუგზავნა პარლამენტს და მხარი დაუჭირა ევროპული კომისიის მოსაზრებას ევროკავშირის გაფართოების შესახებ და მთავრობა საპარლამენტო განხილვისას პოზიციის შეცვლას არ ელის. ჩვენ გვინდა, საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობა, მაგრამ ჩვენ ასევე ველით დამსახურებაზე დაფუძნებულ შეფასებას, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ევროპული გზის მომავალს. რეფორმები უნდა გაგრძელდეს და კომისიის მიერ დასახელებული პირობები შესრულდეს".

იტალიის ელჩი ენრიკო ვალვო:

„იტალია მიესალმება ევროპული კომისიის 8 ნოემბრის რეკომენდაციას საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე დათქმით, რომ ნაბიჯები გადაიდგმება ცხრა პრიორიტეტული სფეროს მოსაგვარებლად.

როგორც საქართველოს ევროპული პერსპექტივის ძლიერი მხარდამჭერი, იტალია იმედოვნებს, რომ დეკემბერში ევროპული საბჭო მხარს დაუჭერს კომისიის რეკომენდაციას, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროინტეგრაციის პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ გაფართოების პროცესი დამსახურებაზეა დაფუძნებული, ინტეგრაციის პროცესის წინსვლისთვის ყველა ქართველ პოლიტიკურ და სოციალურ აქტორს შორის ინკლუზიური თანამშრომლობა აუცილებელ რეფორმებზე ფოკუსირებისთვის გადამწყვეტი იქნება".

ნიდერლანდების სამეფოს ელჩი მელინე არაკელიანი:

„ამ ეტაპზე შეგვიძლია, გაცნობოთ, რომ ნიდერლანდების მთავრობას ჯერ არ ჩამოუყალიბებია პოზიცია ევროკომისიის გაფართოების ანგარიშსა და მის რეკომენდაციაზე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ".

ჩეხეთის ელჩი პეტრ კუბერნატი:

„ჩვენ ყოველთვის მტკიცედ ვუჭერდით მხარს საქართველოს ძალისხმევას კანდიდატის სტატუსის მისაღებად და გავაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია კანდიდატის სტატუსი ქართველი ხალხისთვის, თუმცა ეს მხოლოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ვაღიარებ, მნიშვნელოვანი ეტაპია ევროკავშირისკენ მიმავალ გრძელ გზაზე. ჩვენ ადრეც განვაცხადეთ, რომ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, თუ ამას ევროკომისიის შემოდგომის შეფასების ანგარიშის დასკვნები შეესაბამებოდა.

კომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ ევროპულმა საბჭომ საქართველოს მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი იმ დათქმით, რომ რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგმება. ახლა ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს სამოქმედო გეგმას 2023 წლის 8 ნოემბრის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული 9 ნაბიჯის განსახორციელებლად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ 27 ნოემბერს. ჩეხეთის მთავრობის საბოლოო პოზიცია ჯერ არ არის მზად".

ავსტრიის საელჩო:

„ავსტრია სრულად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს. ევროკომისიამ თავისი რეკომენდაციით გააგზავნა ძლიერი პოლიტიკური სიგნალი საქართველოს ევროპულ გზასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა საქართველოს მოსახლეობაში პროევროპულ განწყობას.

ევროკომისიის რეკომენდაციას სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ევროსაბჭოში ორ კვირაში განვიხილავთ. ამის შემდეგ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას. ამასობაში და შემდგომში, მოვუწოდებთ ყველა ქართველ დაინტერესებულ მხარეს, დაიწყონ ერთობლივად და ინკლუზიურად მუშაობა ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ ცხრა ნაბიჯზე".

გერმანიის საელჩომ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა და გვირჩია „დაველოდოთ გადაწყვეტილების გასაჯაროებას".

შვედეთის საელჩომ ჩვენი კითხვა პასუხის გარეშე დატოვა „ამ ეტაპზე ელჩის სხვა ვალდებულებების გამო".

რაც შეეხება ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებს, მათ პოზიციას „აქცენტი" ელის და პასუხებს მიღებისთანავე შემოგთავაზებთ.

ქართველი მხატვარი და „ევროპალია საქართველო"

ფესტივალზე „ევროპალია საქართველო" ბელგიის ქალაქ ლიეჟის ლე დრაპიეს საგამოფენო დარბაზში ამრეშუმის მუზეუმის კოლექციისა და ხელოვან თამუნა ჯაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 143 ექსპონატი. დამთვალიერებლებს ნამუშევრების ნახვა 16 დეკემბრამდე შეეძლებათ.



„დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირდაპირი საუბრის რაიმე ფორმატი არ შექმნილა და ვერც შეიქმნება“ – ასეთია მმართველი გუნდის პასუხი, აფხაზეთის დეფაქტო უშიშროების საბჭოს მდივნის, სერგეი შამბას შეთავაზებაზე. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საკითხზე კონსულტაციები, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ჟენევის ფორმატითაა შემოსაზღვრული, რომელიც შედეგზე ორიენტირებული არ აღმოჩნდა, თუმცა მაინც გრძელდება. შესაბამისად, როგორც ჩანს, ვახტანგ ყოლბაიასა და სერგეი შამბას ონლაინ შეხვედრა პოლიტიკის ცვლილების მანიშნებელი არ არის.

„ხალხის ძალის“ წევრის, ანალიტიკოსის დავით ქართველიშვილის განცხადებით, იმისთვის, რომ სიტუაცია მომწიფდეს სხვადასხვა ტიპის კომპრომისების განსახილველად, ჩვენი საერთო ოჯახის გაძლიერების შექმნის მიზნით, უნდა დადგეს შესაბამისი ხელსაყრელი პირობები.

FOR.GE დავით ქართველიშვილს ესაუბრა.

დავით ქართველიშვილი:

დეოკუპაციის საკითხში ჩვენთვის წარმატების მოტანა შეუძლია მხოლოდ ჩინეთს!

– გატონო დავით, შამბას ინიციატივა, რომ დაიწყოს დიალოგი, როგორ ფიქრობთ, აქვს პერსპექტივა?

დავით ქართველიშვილი: – ჩემი პირადი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით უცვლელია. დღეს აფხაზები არ წარმოადგენენ მოლაპარაკების სრულყოფილ სუბიექტს. ეს რომ დაუშვა, მაშინ უნდა დაუშვა ე.წ. შემდგარი სახელმწიფოებრიობა და მაშინ უნდა დაუშვა ის, რომ ისინი ამ შესაძლო მოლაპარაკებების დროს წარმოადგენენ რაღაც დამოუკიდებელ სუბიექტს, რაც გამორიცხულია, რომ გავიფიქრო. რა თქმა უნდა, მათ უკან არის რუსეთი და ჩვენს უკან არიან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები. როდესაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი – ჩინეთი გვეუბნება, რომ ჩვენ მზად ვართ ამ გლობალურ საკითხებში მხარდაჭერა აღმოგიჩინოთო, რატომ ჩქარობს ზოგზოგიერთი? რატომ უნდა ვიჩქარო მე? მე ვიცი ერთი რამ – მესმის, რომ რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს ეს საკითხი და არა ინდოეთთან, ამერიკასთან, თუ ევროკავშირთან, მაგრამ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან კარგად ვიცით ისიც, რომ ამ სიტუაციაში ერთი-ერთზე რუსეთთან რაიმე ტიპის მოლაპარაკების წარმოება, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე, არ შეიძლება, მით უმეტეს, როდესაც ჩვენზე უფრო ძლიერი და ბრძენი სტრატეგიული პარტნიორი გვეუბნება – გამომიყენეთ მე შუამავლად. გამოვიყენოთ ის, ოღონდ არ უნდა ვიჩქაროთ, ვინაიდან კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩინეთი დგას სათავისოდ უფრო მნიშვნელოვანი მსგავსი ანალოგიური პრობლემების გადაწყვეტის ძალიან მძიმე პერიოდის წინ - ვგულისხმობ ტაივანს და ამიტომ, დაველოდოთ. ღმერთმა ქნას, ტაივანის საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც არ გადაწყვეტილა 70 წელიწადზე მეტი ხანი ჩინეთის სასარგებლოდ. ღმერთმა ქნას, გამოინახოს ჩვენთვის დრო და ადგილი, ჩაგვიდგეს შუამავლად ჩვენსა და მოსკოვს შორის და დავიწყოთ საუბარი. რა თქმა უნდა, ამ საუბარს უნდა ჰქონდეს სამმაგი სასარგებლო ინტერესი, როგორც ჩვენი, ასევე აფხაზეთის და ცხინვალის მოსახლეობისთვის. ჩემი ღრმა რწმენით, ჯერჯერობით, პირდაპირი კონტაქტების დამყარება კონტპროდუქტიულია და არაფრის მომტანი არ არის. იმისთვის, რომ სიტუაცია მომწიფდეს სხვადასხვა ტიპის კომპრომისების განსახილველად, ჩვენი საერთო ოჯახის გაძლიერების შექმნის მიზნით, უნდა დადგეს შესაბამისი ხელსაყრელი პირობები. ახლა, ყოველ შემთხვევაში, ეს პირობები არ დამდგარა.

– როგორ ფიქრობთ, ეს იქნება გრძელვადიანი, თუ პირიქით მოკლევადინი პროცესი, რომ ეს პირობები დადგეს?

– 30 წელიწადზე მეტი მწვავე ფაზაში იყო ყარაბაღის საკითხი ჩვენს ორ მეზობელს შორის, მაგრამ როგორც კი შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, ყარაბაღის სამართლიანობის აღდგენის კუთხით გადაჭრის საკითხი, საკმაოდ სწრაფად, კარგად და მშვიდობიანად მოხდა. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, მოუთმენლობა ქართველების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია. ჩვენი მოუთმენლობით მივედით იქამდე, რა სიტუაცია არსებობს დღეს თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის. ამჯერად, მე პირადად კიდევ ერთ მორიგ მოუთმენლობაში ვხედავ მორიგ საფრთხეს და შეცდომას კი არა – დანაშაულს.

დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც ჩვენზე უფრო მძლავრი და უფრო მეტი შესაძლებლობების მქონე სტრატეგიული პარტნიორი დაგვიდგება გვერდში ჩვენსა და ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს შორის თანაცხოვრების ისეთი ფორმულის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ერთი მხრივ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გადის და მეორე მხრივ სოხუმისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის უფლებებს მაქსიმალურად დაიცავს.

– სტრატეგიული მოკავშირე ჩინეთი ახლენეთ, მარტის მოლოს საქართველოში ჩინეთის ელჩმა ჭოუ ციენმა გააკეთა განცხადება, რომ ჩინეთი მზად არის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ჩაერთოს. რა შემთხვევაში შეიძლება ვიხილოთ ჩინეთი, როგორც შუამავალი მოლაპარაკების მაგიდასთან?

– საქართველო და მე, პირადად, მზად ვარ მსგავსი შუამდგომლობა გაგვიწიოს ბრიუსელმაც და ვაშინგტონმაც, მაგრამ ამის წარმატება იქნება ნულის ტოლი, იმიტომ, რომ დღეს ამ საკითხში ჩვენთვის წარმატების მოტანა შეუძლია მხოლოდ ისეთ ძალას და ისეთ სტრატეგიულ პარტნიორს, რომელსაც გააჩნია მოსკოვზე გარკვეული ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც დღეს ახლოს არის მოსკოვთან რუსეთისთვის უფრო მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებში და ასეთი პარტნიორი უნდა იყოს ჩვენი შუამავალი, რომელსაც შეუძლია დაარწმუნოს რუსეთი იმაში, რომ მისი ტაქტიკა საქართველოსთან მიმართებით არის მოძველებული, კონტრპროდუქტიული და საერთო ქვეყნების, რეგიონის და გადაფორმატებული მსოფლიოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ამ საკითხის გადახედვა - კიდევ ერთხელ ვამბობ, ამ სიტუაციაში ჩართული ყველა დაინტერესებული მოთამაშის სასარგებლოდ.

თამთა ქარჩავა

ლევან ნიკოლეიშვილი:

სააკაშვილმა საკუთარი მანიფესტით „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ კუბოში ბოლო ლურსმანი ჩაჭედა

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა მისი წინამორბედი ნიკა მელია პარტიის წევრობიდან ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირ ეთერში გარიცხა. გადაცემის წამყვანის მიერ მიწოდებულ ფურცელზე ხაბეიშვილმა მიაწერა, რომ ნიკა მელია არ წარმოადგენს პარტიას. ნიკა მელიას კომენტარი ამ ფაქტზე ამ დრომდე არ გაუკეთებია. რა ხდება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ და რატომ იშლება მარტივ მამრავლებად ის ძალა, რომელიც საკუთარ თავს „მთავარ ოპოზიციურ ძალად“ მოიხსენიებს...

„რეპორტიორის“ სტუმარია ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი.

– გატონო ლევან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგით მერამდენე დაშლა მოხდა ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირ ეთერში, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ პარტიის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ მისი წინამორბედი ფურცლის ნაგლეჯზე ერთი ხელის მოწერით გარიცხა პარტიიდან... რა ხდება ამ პარტიის თავს და რატომ იშლება მარტივ მამრავლებად პარტია, რომელიც თავის თავს „მთავარ ოპოზიციურ ძალად“ მოიხსენიებს?

– მოდით, საუბარი იმით დავიწყოთ, რომ ლევან ხაბეიშვილი პოლიტიკოსი კი არა, პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანია, რომელიც დასვეს იმ პარტიულ თანამდებობაზე, რაც დღეს უჭირავს. სწორედ ამიტომ ვერ იქცევა ის ისე, როგორც უნდა იქცეოდეს პოლიტიკოსი და სწორედ ამიტომ წამოაგეს ჟურნალისტებმა ანვესზე ასე მარტივად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ეს ადამიანები არიან ჟურნალისტები, ისინი პოლიტიკურ მხარეს წარმოადგენენ. რაც შეეხება ნიკა მელიას... როდესაც ამ ადამიანმა შიდაპარტიული არჩევნები წააგო, მას უნდა ჰყოფნოდა ღირსება და სინდისი და თავად დაეტოვებინა პარტია იქამდე, ვიდრე ის მოხდებოდა, რაც ჩვენ ვიხილეთ პირდაპირ ეთერში. ხაბეიშვილი რომ პარტიიდან გაგრიცხავს, მერე რა პოლიტიკურ მომავალზე უნდა გქონდეს კაცს პრეტენზია, ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ის, რაც ახლა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხდება, ლოგიკურია, ვინაიდან ეს არის პარტია, რომელსაც 2012 წელს განცდილი მარცხის შემდეგ, საკუთარი არც ერთი ქმედება არ გაუანალიზებია, ისინი არასდროს დაფიქრებულან, რა შეცდომები დაუშვეს და რამ გამოიწვია მათი გაშვება ხელისუფლებიდან. მათ არასოდეს უცდიათ ახალი პროგრამის შემუშავება, რათა ამ პროგრამით დაბრუნებულიყვნენ ხელისუფლებაში. არა, ისინი მუდმივად რევოლუციისა და გადატრიალების მოლოდინში იყვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის მობილიზება შეძლეს და უცხოეთიდანაც ჰქონდათ გარკვეული ხელშეწყობა, მათ ამ სცენარის განხორციელება ვერ მოახერხეს. ასე რომ, ლოგიკურია მათი დაქსაქულობა და ამაში გასაკვირი არაფერი არ არის...

– ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში რეალურად არც „ხაბეიშვილისტები“ არსებობენ და არც „მელიისტები“, აქ არსებობენ „მიშისტები“, რომლებიც საბოლოოდ დააბნია პარტიის შიგნით შექმნილმა მდგომარეობამ. თქვენი აზრით, ვისთან დარჩებიან სააკაშვილის ამომრჩევლები – ხაბეიშვილის ამომრჩევლად მოგვევლინებიან ისინი 2024 წლის არჩევნებში თუ მელიას?

იხ. 10 გვ.



ჟურნალისტიკა და ბინძური პოლიტიკა

გიორგი მამაცაშვილი:

„ტრ..ში აყვავებული ბროწეული“ უნდა გერქვას შენ!

ჯერ კიდევ წინა კვირაში მსურდა, დაწერა.

ჰო, ჯერ კიდევ წინა კვირაში მსურდა იმის დაწერა, რომ ყველა ჟურნალისტი არაა, ვინც ხელში მიკროფონს დაიჭერს.

ან ვინც სტუდიის მანტიას მოირგებს და კამერებს თვალს გაუსწორებს.

არც ის, ვინც კამერებს ჩახედავს და სისხლი ტვინში აასხამს სიამოვნებისგან.

და მერე აღარ უკვირდება, ამ სიამოვნებისგან გატრუნული და „კაიფში მყოფი“ როგორ კვეთს წითელ ხაზებს და როგორ ემსგავსება მისი „ჟურნალისტიკა“ გვარამია-ჰოლმსისა და მისი „ექიმი უოტსონის“ უზნეო და უზრდელურ ეთერებს.

თუ ვინმეს „ემცხეთა“, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, უთქვამთ და ჩათვალონ ჩემი ეს სეზონური „წკიპურტიც“ ილიასეული „სარკეში ჩახედვად“...

თუ არადა, ვარაიდა, ბიჭო, ვარალე...

* * *

არადა, დღეს პროფესიად უარყოფილი და მოკერია-რამიშვილის სააკაშვილისეული სექტისგან იავარქმნილი ჟურნალისტიკისგან აღარაფერია დარჩენილი თითქმის...

* * *

ლეგენდადქცეულ ჟურნალისტთა თაობა მიდის.

და „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“ ფრაზის მოხმობა ისეთივე უადგილოა ჩვენს პროფესიასთან მიმართებაში, როგორც მამუკა ხაზარაძის დაყენებაა მკრეხელობა მერაბ კოსტავას გვერდით.

საუბედუროდ, მომავლიდან მხოლოდ ერთეულები „მოდიან“ და ვშიშობ, თუ დროულად არ მოხდა „ქირურგიული ჩარევა“ თანამედროვე ჟურნალისტიკის გადასარჩენად, ხელთ მხოლოდ უტიაშვილის „მონა ეკა“ და „აქუეგად“ ქცეული ნიჭიერი, მაგრამ წითელ ხაზებს მიახლოებული „მანია გრანდიოზები“ შეგვრჩებიან.

* * *

არადა, ჟურნალისტიკა ზნეობაა, უპირველეს ყოვლისა და მხოლოდ ამის შემდეგ, შეიძლება იქცეს პროფესიადაც და მავანთათვის – ჰობადაც...

* * *

არადა, დღეს ყველა „ჟურნალისტია“ – წამყვანიც, საინფორმაციოს რეპორტიორიც, ბლოგერიც, მსახიობიც, სპორტსმენიც, პოლიტიკოსიც (მათ შორის – შარვალჩახდილიც)...

ჟურნალისტობს ყველა, ვისაც არ ეზარება და ვისაც, უბრალოდ, „ლაივის“ ჩართვა შეუძლია „ფეისბუქში“...

ჟურნალისტობენ ეს დალოცვილები და მორალსაც გვიკითხავენ დღემუდამ.

არადა, რომ არც ეზარებათ და არც უხერხულობას გრძნობენ?!

* * *

ახლა მთავარზე...

ლამის ხუთი წლის განმავლობაში, არც ერთხელ(!) არ გახსენებია საინფორმაციო სააგენტოები და გეჯდვითი მედია ქალბატონ პრეზიდენტს.

არასდროს!

არც ერთხელ!

არც როდის!

და ახლა, ცამოწმენდილზე, პრეზიდენტის სასახლეში დაპატიჟეს მედია.

დაპატიჟეს სრული შემადგენლობით – მეტრამპაჟეებითა და დამკაბადონებლებით, მზარეულებითა და სტილისტ-კორექტორებით, მძღოლებითა და ასოთამწყობებით, ჟურნალისტებითა და „უუუუუუურნალისტებით“...

ოღონდ, სახელობითად არა.

არ იცოდნენ ამდენი ჟურნალისტის სახელი.

დაპატიჟეს ერთიანად.

როგორც ლიაკა ხოშტარიას საყვარელ ქვეყანაში ამბობენ – „ოპტომ“.

თან, „ევროპულ ბარ-ზეიმს“ ნებაყოფლობითი ხელმოწერით შემოუერთდითო.

ოღონდ, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი არც გახსენებიათ სალომე ზურაბიშვილსა და მის მიერ მოსაწვევების დასარიგებლად გამწესებულ ქვეშევრდომებს.

რომც გახსენებოდათ, ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ...

იმთავითვე ხელი ვკარი მათ მოწვევას, რადგან აშკარად ჩანდა, ერთადერთ ოლიგარქად გიძინა ივანიშვილის შემფასებელ ზურაბიშვილს რაღაცა „ოღრაშოგა“ ჰქონდა ჩაფიქრებული.

სავარაუდოდ, ასეცაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამტყუნებულ და ოპოზიციურ ფრონტზე ოფიციალურად გადასაბარგებლად გამზადებულ პღეზიდენტს მხარდამჭერთა დიდი არმია სჭირდება ევროპელთათვის თავის მოსაწონებლად.

შესაძლოა, ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელადაც.

უბრალოდ, „რეზიდენტ ...ქალად“ და „მძ...ის ქოთნად“ მისი შემფასებლები როგორ და რატომ აღმოჩნდნენ ორბელიანის სასახლეში, ბევრისთვის ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

არადა, „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ ზურაბიშვილის გასაპრეზიდენტებლად, ისინი რუსეთუმეებად და ალქაჯებად მონათლა საპაშვილის მემკვიდრემ.

ჰო, საპაშვილის მემკვიდრემ, თორემ ზვიად გამსახურდიასთან მისი შედარება კიდევ უფრო დიდი მკრეხელობა იქნება, ვიდრე „ტრ...ში აყვავებული ბროწეულის“ პროფესიული კუთხით შედარება, გნებავთ – გელა ზედელაშვილთან და თუ გსურთ – გიგლა გოგეჩიასთან...

ბროწეულს შეგაჯავრებს კაცს, ამას რომ უსმინო...

ჰო, „აყვავებული ბროწეულიც“ ჟურნალისტობას ჩემულობს, სხვათაშორის...

* * *

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ეს იყო, თუ იყო.

ნიკა არაგიძე, ალეკო მალხაზიშვილი, ვანო ფხაკაძე, ვანო ჯავახიშვილი, გოგი გვახარია, მიშა მშვილდაძე, „ტრაკში აყვავებული ბროწეული“, ილო გეროშვილი, „ღამის შოუ“, „დღის შოუ“, „საღამოს შოუ“, „შუაღამის შოუ“, ეს „შოუები“ გენდებთან და გენდების გარეშე, საპაშვილის პაროდისტი პაროდიის გარეშე...

მოკლედ, იქ მყოფი მარინა ბერიძის თქმისა არ იყოს, „მთელი ტფილისი იქ იყო“...

სასაცილოდ ჟღერს, შეიძლება, მაგრამ სატირალი უფროა – მედიასთან პრეზიდენტის შეხვედრაზე არ ყოფილან ჟურნალისტები...

„ნაციონალური მოძრაობის“ და მათი ანასხლეტების პარტიული ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტებს არც ვგულისხმობ.

რაღა დროის მათი ჟურნალისტიკაა.

ზალიკო უდუმაშვილის მსგავსად, ღიად პოლიტიკურს „აწვებიან“ უმეტესად.

აკი, თავშიც ვთქვი, „მძ...ის ქოთნად“ ზურაბიშვილის შემფასებელი, „ნაციონალური“, ან ნაციმდრეკილი პარტიული ტელევიზიის ახლა უკვე ხელმძღვანელს გიორგი გაბუნიას თუ იქ ნახავდა კაცი, ვინ იფიქრებდა...

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის რამდენიმე პატივსაცემი კოლეგაც ვნახე „არაჩვეულებრივ გამოფენაზე“, ფაქტი ფაქტად რჩება: თუ ასე გაგრძელდა, ქართული ჟურნალისტიკის საქმე „გოლო ვაგონშია“...

აგა, ზურაბიშვილის საქმე რომ „ჩახსნილ ვაგონშია“, ეს ისედაც ცხადია...

* * *

„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო“, – ზედგამოჭრილია ნაციონალების პრეზიდენტისთვის.

აბა, დალოცვილო, ქვეყანაში პაატა გყავდეს, ნაცვლიშვილი, თეიმურაზ ქორიძე გყავდეს, არჩილ გოგელია, აკაკი სიხარულიძე, ლაშა ნადარეიშვილი, დემიკო ლოლაძე, ვან გაიბურთი, გიგლა გობეჩია, თამაზ ჩიქვანაია, მერაბ ხაჩიძე, ლეონიდე დოლიძე, სანდრო კოტორაშვილი, ირმა ინაშვილი, ნანა დევდარიანი, ნანა ლომაია, გოჩა ხუნდაძე, ვადიმ ანასტასიადი, გრიგოლ ჩიგოგიძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, სპარტაკ ქომულია, ოთარ ტურაბელიძე, თემურ უღენტი, გუბაზ მეგრელიძე, ვახტანგ ნადირაძე, ზაზა ტალახაძე, ალეკო ასლანიშვილი, ნინო კვაჭანტირაძე, მანანა კარტოზია, ლია ჭიღლაძე, ნინო გოძიაშვილი, მარინე გიგინეიშვილი, მარინა თექთუმანიძე, ბადრი ვადაჭკორია, ამირან ტალახაძე, რობიზონ ოდიკაძე და მათი მსგავსი დამსახურებული ჟურნალისტები გყავდეს და მაინც გოგი გვახარიას და „ტრ..ში აყვავებულ ბროწეულს“ იტენიდე, რაღაცაშია საქმე და ვერ გაგვიგია...

არადა, შენიშნავდით, ჩემი მეგობრები და ჩემი თაობის ჟურნალისტები შეგნებულად არ ჩამოვთვალე და მხოლოდ ღვაწლმოსილი და დამსახურებული კოლეგების ნაწილზე შევჩერდი, პროფესიულ ნეპოტიზმში რომ არ დამდონ ბრალი...

აქაც ბევრი ღირსეული კოლეგა ვერ ჩამოვთვალე და მომიტევებენ, იმედია.

* * *

თავში ვწერდი, ჟურნალისტიკა, უპირველესად, ზნეობასთან უნდა იყოს ახლოს და მხოლოდ ამის მერე უნდა ვიფიქროთ პროფესიად მის ქცევა-აღდგენაზე-თქო...

აკი, ჯერ კიდევ წინა საუკუნეშიც ამას წერდა დიდი ილიაც: „ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს მას!“

* * *

სათქმელი კიდევ მევრია, მაგრამ წინა კვირაში სინდისთან ყველაზე მწყრალად, ეს იყო და ეს...

P. S.

„მთავარ არხზე“ მომუშავე დეა მამისეიშვილს ხაბეიშვილის ხელის ბიჭებმა კბილი გაჰკრეს.

ჟურნალისტიკა დაუწუნეს და „შავ სიაში“ შეიყვანეს.

ზოგმა ნაცმიდრეკილმა და თემურ ალასანიას ფან-კლუბის წევრმა „ფორმულაზე“ მომუშავე ნინო ჟიჟილაშვილის ფოტო ატრიალა წაღმა-უკუღმა.

ხაბეიშვილის ბატიფეხურიან-ავტოგრაფიანი ქაღალდი რომ აფრიალა ჟიჟილაშვილმა, ის ფოტო.

მიხეილ სააკაშვილმა კი ბოღმები ვეღარ მოთოკა და ვახო სანაიას გაჰკრა კბილი.

და რატომღაც ერთი ინტერვიუ გამახსენდა ქართველი ჰიტლერის პრეზიდენტობის პერიოდიდან.

დღეს უკვე მიშას მეხოტბედ ქცეული, თქვენ წარმოიდგინეთ და – ჩემთვის პატივსაცემი რესპონდენტი გიორგი სანაიას მკვლელობაში პირდაპირ მიხეილ სააკაშვილს ადებდა ხელს!

თან არაერთგზის!

თინა ბოკუჩავამ და ანა წითლიძემ სალამური ააკვნესეს და თავიანთ ბელადს ორაზროვან განცხადებებში დასდეს ბრალი ირიბად.

ზოგადად, ნაცებში მიმდინარე პროცესებს მარტივად შეიძლება ვუწოდოთ ქართული ზღაპრის სახელი - „მელია და მწყერჩიტა“.

ზღაპარში აშკარად მწყერჩიტაა გამარჯვებული მელიასთან პაექრობაში, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სეირის მოყვარულებს არჩევნებამდე მთელი ერთი წელი აქვთ დარჩენილი.

„ვიღაცამ სააკაშვილის ბუდეს გადაუფრინა“ და ნაცებმა ერთმანეთის კბენა-ღრენა კვლავ განაახლეს.

„რაც გვინახავს, ისევ ვნახავთ, ნატვრა ჩვენი სიზმარივით ცხადდება“ – გენიალურად უხდება გოგი ცაბაძის ლეგენდარული სიმღერის ტექსტი რეალობას.

ვანო კი დუმს.

მერაბიშვილი.

ადრე, წლების წინ დავწერე: „მიშა, უფრთხილდი ვანოს!“

ვისაც უნდა წაეკითხა, ყურად არ იღო.

ახლა ვწერ:

„ნაცებო, უფრთხილდით ვანოს!“

თუ არ გსურთ, ნურც ახლა წაიკითხავთ.

შემოდგომაზე დაითვალეთ წიწილები.

მოკლედ, როგორც ჯანსუღ ჩარკვიანი იტყოდა – ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ეგაა საკითხავი...

P. P. S.

ნაციონალურო და სალომდეგულო ჟურნალისტიკავ, „ტრ..ში აყვავებული ბროწეული“ უნდა გერქვას შენ!

ძმობისა და მეგობრობის ეტალონი



დაგადეგიდან 85 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, პარტიული და სამეურნეო საქმიანობით გამორჩეულ პიროვნებას, ძმობისა და მეგობრობის უმაღლო ეტალონს, ქართული ინტელიგენციის მრწყინვალე წარმომადგენელს, აღმშენებლობის ნიჭიერ ორგანიზატორს, უკეთილშობილეს ადამიანს მატონ გონდო ჯიქიას.

მატონი გონდო დაიბადა 1938 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯში. იგი აღიზარდა კულტურითა და ზნეობით გამორჩეულ მშრომელთა ოჯახში. ჭაქვინჯშივე 1956 წელს წარმატებით ამთავრებს სკოლას და იმავე წელს ირიცხება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე. 1961 წლიდან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ებმება სამეურნეო საქმიანობაში და მუშაობას იწყებს „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის რაიონულ გაერთიანებაში ინჟინრად.

მატონი გონდოს ნიჭიერება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, პასუხისმგებლიანობა და მაღალი პროფესიონალიზმი არ გამორჩა მხედველობიდან მაშინდელ რაიონულ ხელმძღვანელობას და მას აწინაურებენ ჯერ კომკავშირულ და შემდეგ პარტიულ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მატონი გონდოს მოღვაწეობა ქობულეთის, სენაკისა და ზუგდიდის რაიონების ხელმძღვანელად, შემდგომ რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ორგანოების უმაღლეს ეშელონებში და გოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში კი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად მუშაობის პერიოდში.

მატონ გონდოს ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის ნიშანსვეტია. მას ახასიათებს საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ინტერესების უმაღლესობა და შრომისმოყვარეობა. ამ თვისებების გამო ის სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით. მის მოსაზრებებსა და წინადადებებს ყურადღებით უსმენენ და ითვალისწინებენ საზოგადოებაში და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა, თანადგომა მისი ცხოვრების განუყოფელი წესია. ბუნებამ მას უხვად მოამადლა უდიდესი შრომის უნარი, სიბრძნე და სიდარბაისლე. მას იცნობენ და უყვართ საქართველოს ყველა მხარეში. იგი მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობისა და ეროვნული პრინციპების განუხრელად მატარებელია. არასოდეს ღალატობს თავის მრწამსს, საკმაოდ უკომპრომისო და პირდაპირია, რასაც აშკარად გამოხატული ქრისტიანული მიმტევებლობაც ახლავს თან..

გონდო ჯიქია – რა ეპითეტებიც არ უნდა ვიხმაროთ, ისინი სრულყოფილად მაინც ვერ ასახავენ ამ სახელსა და გვარში შენივთებული პიროვნების მოღვაწეობას. მისი საქმენი ყოველგვარ შემამკობელ სიტყვაზე მეტყველია. იგი მეგობრობის ნიჭით გამორჩეული ვაჟკაცია, საოცრად ყურადღებიანი, ტკივილის გულთან მიმტანი და ლხინის დამამშვენებელი. მისი ქართული სუფრისადმი დამოკიდებულება და სუფრის ხელმძღვანელობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის ჰუმანურობით, სიკეთით და ერთგულებით დატვირთული ინტელიგენტია, ამავდროულად, იმედიანი და საუცხოო მეგობარი. მუდამ ქართული საქმის კეთებით არის დაკავებული, ამიტომაც უხდება და ამშვენებს ზუგდიდსა და მთელ ქვეყანას.

ბონდო ჯიქია ღირსეული და ღვაწლმოსილი იუბილარია

დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის ჯილდოები და წოდებები, რომლებიც დამსახურებულად აქვს მიღებული საბჭოთა პერიოდში, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწეობისას ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერია. იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მან როგორც ეროვნული სულისკვეთების ადამიანმა ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

ამ დახვეწილმა ინტელიგენტმა კაცმა, თავისი ქვეყნის წინაშე, დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობა იკისრა და ეს ტვირთი ვაჟკაცურად ზიდა. ამ საქმეში მას მუდამ გვერდში ედგა და ხვედრს უმსუბუქებდა მისი შესანიშნავი მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი მილადა. მიუხედავად იმისა, რომ გონდო ჯიქია მთელი ცხოვრება დაკავებული იყო დიდი საქმეებით, ყოველთვის ახერხებდა და ახერხებს იყოს შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუაც. დღესაც იგი აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში. არის საზოგადოება ,,ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის და მერის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

სამწუხაროდ, წინამდებარე წერილის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ვრცლად გვესაუბრა ამ მართლაც მრავალწახნაგოვან, განათლებულ, ერუდირებულ პიროვნებაზე. თუმცა ვფიქრობთ, უმთავრესის თქმა მაინც შევძელით და მკითხველის თვალწინ წარმოვაჩინეთ მისი საქმიანი და ადამიანური პორტრეტის მთავარი შტრიხები.

ვერ ვიტყვით, რომ 85 წელი ტვირთი არ არის, მით უმეტეს განვლილი გზა არასოდეს ყოფილა ვარდებით მოფენილი. იყო სიმწარე, დაუმსახურებელი ტკივილები, მაგრამ თქვენ, მატონო გონდო, შეგიძლიათ და უფლებამოსილი ბრძანდებით ხმამაღლა ყველას გასაგონად განაცხადოთ: „არ მრცხვენია უკან მოხედვის“!..

ჭეშმარიტ კოლხს, ჩინებულ მამულიშვილს, მაღალი ზნეობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს მატონ გონდო ჯიქიას ვულოცავთ 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ღმერთმა სიკეთითა და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება, რომლის წინაშე თავს ვხრით მადლიერების გრძნობით აღვსილი მისი მეგობრები.

ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, ბაკურ გულუა, ვაჟა თორდია, ოთარ ჭითანავა, გურამ ფიფია, ლერი ჭითანავა, მერაბ ქვარაია, ედიშერ თოლორაია, ირაკლი ჩიქოვანი, რაულ ჩილაჩავა, თამაზ ცანავა, გიორგი გუგუჩია, დავით კუხალეიშვილი, დემურ გადელია, თემურ შაშიაშვილი, გიორგი დარჯანია, ტარიელ დგებუაძე, დავით ქანთარია, მამუკა წოწერია, თენგიზ შანავა, ნუგზარ მალაშხია, მურთაზ ბოკუჩავა, გიგა ფარულავა, ნათელა ფიფია, რუსუდან ფაცაცია, მარინა ჯიქია, ნათია ჯგუშია, იური გუგუჩია, მურმან ნაჭყებია, ლავრენტი კემულარია, კარლო ვეკუა, ალვერ იზორია, ნუგზარ სართანია, გული აგუმავა, გიორგი ყუფუნია, გივი სოსელია, ლევან ბეჭვაია, თენგიზ ჭითანავა, ანზორ ჭითანავა,ვაჟა ფიფია.

2023 წლის 5 დეკემბერი

გზა ახალი მეცნიერული წარმატებებისთვის

პროფესორი ზურაბ ხონელიძე – 60

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სულითა და გულით ულოცავს თვალსაჩინო მეცნიერს, სასახელო პიროვნებას, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ზურაბ ხონელიძეს დაბადებიდან 60 წელს. მატონმა ზურაბმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის წამყვან მეცნიერთა შორის და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მის სამაგალითო შრომით გზას, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, ის 1996-2009 წლებში იყო საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი და პოლიტიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტში, სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროში, საქართველოს უზენაეს საბჭოში, იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს პროფკავშირების პირველი არჩეული თავმჯდომარე, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი, რომლებშიც გაანალიზებულია თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების რეგულირების პროცესში, შესწავლილია მშვიდობის ძიებაში განათლებისა და დიპლომატიის, როგორც სახელმწიფოებრიობის მდგრადი და უწყვეტი განვითარების ინსტრუმენტი.

ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც 60 წელი მხოლოდ იმ გამოცდილების საზომია, რომელიც ახალი მეცნიერული წარმატებებისთვისაა საჭირო, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს მის ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

მიხეილ გიორგის ძე სალაძე იუბილარია



მსოფლიო ჩემპიონი გენერალურომაულ ჭიდაობაში, მსოფლიო უნივერსიადის 3-გზის ჩემპიონი, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე, სსრკ ორგზის ჩემპიონი, სსრკ ხალხთა მე-7 სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის 2-გზის და ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს (პოლიციის) გენერალი... ეს ყველაფერი მატონი მიხეილის დამსახურებათა მცირე ჩამონათვალია. მასზე და მის პიროვნებაზე მევრის თქმა შეიძლება, მატონი მიხეილი სამეგობროსა და კოლეგებში გამორჩეული პიროვნება, კაცთმოყვარე და უღალატო მამულიშვილია. ასე იცნობენ და ამაყობენ მისი ზნეკეთილობით მეგობრები და ახლობლები...

დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მატონ მიხეილ სალაძეს თავის ღირსეულ ოჯახთან ერთად.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ზურაბ ფოჩხუა, თემურ კუჭუხიძე, ზოთა ასათიანი, თემურ მურღულია, ნოდარ ბოლოთაშვილი, მერაბ გურული.

ბონდოია „ოდოიას“ იპოვის და ნახავს!

ბონდო ჯიქიას მოვარგებული წუთისოფელი

გატონო ბონდო, გილოცავთ იმ მედნიერ დღეს, „როცა თქვენ გაჩნდით ამ ქვეყანაზე“! საქართველო ამაყობს თავისი ღვაწლმოსილი ადამიანებით, რომლებმაც თავიანთი შრომით, გამორჩეული ღვაწლით, თავგანწირვითა და პროფესიონალიზმით სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული გამოავლინეს. უმეტეს შემთხვევაში, თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად აკეთეს საქვეყნო საქმეები. ჩვენ, მადლიერი თანამედროვენი, გატონო ბონდო, თქვენნაირ ადამიანებს მამულიშვილებად მოვიხსენიებთ.

დრო საუკეთესო შემფასებელია ყველას ღვაწლისა და თავდადებისა. არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც თქვენ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იყავით, თან როგორ რთულ პერიოდში... სწორედ მაშინ გამოვლინდა თქვენი კაცობა, თავდადება, ზნეობა, ადამიანური ღირსებები და გამჭრიახობა. როგორი საქმეა ასეთ ვითარებაში სამეგრელოში პირველკაცობა? როცა რესურსების არარსებობისას ყველა შენგან ითხოვს შველასა და გამხნევებას. მაშინ, როცა ერთ გაუაზრებელ ნაბიჯსაც კი დიდი ზიანის მოტანა შეეძლო სამეგრელოსთვის. იმ განსაცდელის ჟამს, თქვენ თქვენი გრძნული გადაწყვეტილებებით, ბევრი საქმის უმტკივნეულოდ მოგვარება შეძელით. თავგანწირვის ტოლფასი იყო, იმ პერიოდში თქვენს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი. თქვენ, როგორც სამეგრელოს მმართველმა, დიდი წვლილი შეიტანეთ ამ კუთხის განვითარებაში, ინფრასტრუქტურისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციაში.

თქვენ ისე იარეთ მთელი ცხოვრება „მეწვის ხიდზე“, რომ არც ქვეყნის ინტერესები და არც თქვენი ავტორიტეტი არ შეგღალულა. ამიტომაც დაიმსახურეთ თქვენი ხალხის პატივისცემა და დიდი სიყვარული.

გატონო ბონდო! თქვენზეა ნათქვამი: „რომ დაიბადა უფალმა თავზე ხელი დაადო“, იტყვიან და ასეც არის, შეუძლებელი შეძელით, სადაც მუშაობდით, ყველგან თქვენს განუმეორებელ ხელწერას ტოვებდით.

თქვენს თანამდებობებსა და ჯილდოებს, საერთო მიღწევებს რა ჩამოთვლის, ეს თქვენ უკეთ იცით, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რა ენერგია და დრო წაიღო ამ ყველაფერმა. სამაგიეროდ დაიმსახურეთ უდიდესი სიყვარული არა მარტო თქვენს სათაყვანებელ ზუგდიდში, არამედ სრულიად საქართველოში.

ამას ყველა ვერ შეძლებდა, ეს თქვენ შეძელით! გვეამაყებით გატონო ბონდო!

კოლხი კაცის ყველა ღირსებით შემკულო ადამიანო, ყველას გვახსოვს თქვენი თანადგომა, უანგარო სიკეთე და ამისათვის კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას!

უფლისადმი უდიდესმა სიყვარულმა და უძლიერესმა რწმენამ შეგაძლებინათ ღირსეულად გევლოთ ამ ქვეყანაზე, ერთ, მართლმადიდებელ კოლხ კაცს.

თქვენ დაამსხვრიეთ ჩინოვნიკის სტერეოტიპი, ყველა გაოცებულია პოეზიისადმი თქვენი დიდი სიყვარულით, მშობლიური ლიტერატურისადმი თქვენი მოწიწებული დამოკიდებულებით.

გატონი ბონდო! წინაპართა ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი და უღალატო ადამიანი გრძანდებით. დიდი მედნიერებაა თქვენთან მეგობრობა და ურთიერთობა. წიგნიერმა კაცმა, ზედმიწევნით იცით ქართული პოეზია და ლიტერატურა. ერთი დიდი დღესასწაულია თქვენთან ერთად ქართულ, ტრადიციულ სუფრასთან ყოფნა. მეგობრების დიდი წრე გყავთ, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები...

ახლაც ყურში ჩაგვესმის თქვენი გამორჩეული ხმის ტემბრით, მაღალპროფესიულ დონეზე ნათქვამი ქართველი კლასიკოსების შედევრები და ამაში ფიზიკური, კოლხური გარეგნობაც გიწყობთ ხელს. განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ყვებით ხოლმე შესანიშნავი პოეტის ზურაბ გორგილაძის „კოხტა კოლხის“ ამბავს!

... „როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა. ბონდოია მიდის, მიდის... და კოლხეთის ველზე, ოდოიას აღარ უსმენს, ოდოიას ეძებს.
და მე მესმის, და მე ვიცი და უღმერთოდ მჯერა, როგორც ნისლში კვალარეულ ხვიჩასა და ჩელას, აქ, კოლხეთის მინდმუნდებში, მტერს ჩქამიც
რომ დაღავს,
ბონდოია „ოდოიას“ იპოვის და ნახავს“.

მედნიერებასა და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენს ქართულ ტრადიციულ ოჯახთან ერთად.

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ნაზარეველს შევთხოვთ თქვენს ჯანმრთელობას!

ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე, მამუკა ადამია, ნუგზარ ანთელავა, ნინო ავალიანი, ზურაბ აფშილავა, თორნიკე აფაქიძე, გურამ ახალაია,რეზო არდია, გიგლა ბარამიძე, ირაკლი ბოჭორიძე, კობა ბუჩუკური, ლილი ბერაია, ნატო ბერულავა, ლეო ბოკერია, გოდერძი ბუკია, პეტრე ბერაია, ნონა გაფრინდაშვილი, სოსო გადელია, ჯემალ გამახარია, გია გვაზავა, ჯემალ გახოკიძე, ჯიტა გულუა, ლაშა გვასალია, ზაურ გვასალია, თენგიზ დადიანი, ვასილ დავითაია, პაატა დანელია, ზურაბ ერქვანია, გიგა ზესაშვილი, ჯემალ ინაიშვილი, ფრიდონ ინჯია, ჯუმბერ იზორია, დავით იაკობიძე, გიორგი კალანდია, დარეჯან კვარაცხელია, ვალერი კვარაცხელია, კახა ლატარია, კახაბერ ლატარია, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, პაატა ლაგვილავა, ჯემალ მარგველიძე, როინ მეტრეველი, თემურ მურღულია, ლევან მამალაძე, ფელიქს მამფორია, ანგულ მიქავა, ლევან მეგონია, რომან მელია, გურამ მისაბიშვილი, გია მოლაშხია, ავთო მოსიძე, დავით ნარმანია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, გრიშა ონიანი, დავით სალარიძე, ბიძინა სონღულაშვილი, გოგი უგრეხელიძე, გოგი ფაცაცია, თენგიზ ქავთარაძე, ნუგზარ ქევხიშვილი, სპარტაკ ქოგულია, ნიკა ქარჩავა, ვახტანგ ყოლბაია, მირიან ყარაულაშვილი, გრიშა შონია, ლევან შონია, ზურაბ ჩხაიძე, აკაკი ჩხაიძე, ლონდერ ცაავა, ვახტანგ ცხადაია, რუდიკ ცატავა, ჯამბულ წულაია, ლერი ჭითანავა, თენგიზ ჭითანავა, ივერი ჭელიძე, თეონა ხუფენია, ანზორ ხუბუტია, ბადრი ხატიძე, ნუკრი ხასია, ვიტალი ხაზარაძე, გია ხუბუა, გია ხუბულავა, ზურაბ ხუნტუა, როლანდ ჯოგავა, ავთანდილ ჯორბენაძე, ელგუჯა ჯამბურია, გივი ჯაფარიძე, ერეკლე ჯაფარიძე, კლიმენტი ჯანჯღავა, რაულ ჯახია, ირა ჯიქია, ნინო ჯიქია, კახა ჯიქია, ჯონი ჯიქია.

ბრაილის შრიფტით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ უსინათლოებს პოეზიის მზეს დაანახვებს!

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრმა ბრაილის შრიფტით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 1966 წლის გამოცემის მიხედვით, რომლის მხოლოდ ორი ეგზემპლარია შემორჩენილი, – ამის შესახებ აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე განცხადებით, 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე იყო. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა წიგნის პრეზენტაცია, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, დეპუტატები, თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია, უსინათლოთა კავშირისა და უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, 202-ე საჯარო სკოლის წარმომადგენლები და მოსწავლეები, მწერლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ბრაილის შრიფტით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარები გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, შოთა რუსთაველის საზოგადოებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს უსინათლოთა კავშირსა და ქ. თბილისის 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონს. წიგნი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემა დაეხმარება მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ასევე – ლიტერატურის მოყვარულ უსინათლო მკითხველებს დამოუკიდებლად მუშაობაში, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციასა და სრულფასოვან განათლებას.

შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1966 წელს ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 100 ეგზემპლარი, რომელთაგან შემორჩენილი მხოლოდ ორი ეგზემპლარიდან ერთი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტში, ხოლო მეორე – უსინათლოთა კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრის ბიბლიოთეკაში, ვინაიდან „ვეფხისტყაოსანი“ არის სასკოლო პროგრამაში.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ყოველწლიურად სხვადასხვა პროექტით აქტიურად უჭერს მხარს და აფინანსებს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრს და ხელს უწყობს მათი საქმიანობის პოპულარიზაციას.

„ვეფხისტყაოსნის“ ბრაილის შრიფტით გამოცემა კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის – „ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“, – გამარჯვებული პროექტია. წიგნი დაიბეჭდა სტამბაში „ტიპლოპოლიგრაფია“.



ვიტალი კლიჩკო: უკრაინა ავტორიტარიზმისკენ მიდის

ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, უკრაინა „შესაძლოა, აღარ იყოს განსხვავებული რუსეთისგან, სადაც ყველაფერი ერთი ადამიანის ახირებაზეა დამოკიდებული“. უკრაინული მედიის ინფორმაციით, – ამის შესახებ კიევის მერმა გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა.

„რაღაც მომენტში ჩვენ შევწყვეტთ განსხვავებულობას რუსეთისგან, სადაც ყველაფერი ერთი ადამიანის ახირებაზეა დამოკიდებული. ახლა არის მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ინსტიტუტი – ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ მასზე უზარმაზარი წნეხია“, – განაცხადა კლიჩკომ.

კიევის მერის თქმით, ომის პირველ თვეებში ქვეყანა ლიდერის გარეშე იყო, აშკარა ქაოსი იყო და მერები მთავარ როლს ასრულებდნენ, როგორც აზრის ლიდერები, ქალაქების დაცვაში ეხმარებოდნენ ხალხსა და სამხედროებს,

მაგრამ პრეზიდენტის ოფისში, კლიჩკოს თქმით, მერები განიხილებიან მხოლოდ დაბრკოლებად ქვეყანაში ძალაუფლების სტრუქტურების ცენტრალიზაციისთვის.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ემუქრება თუ არა დემოკრატიას უკრაინაში სერიოზული საფრთხე, კლიჩკომ უპასუხა: „დიახ“, თუმცა, მისივე თქმით, „თითქმის შეუძლებელია უკრაინის ავტორიტარულ სახელმწიფოდ გადაქცევა ასე“, რადგან მერის განცხადებით, უკრაინელები საამისოდ ძალიან თავისუფლებისმოყვარეები არიან.

ამასთან ერთად, კიევის მერმა განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან მას არც ერთი შეხვედრა ან სატელეფონო საუბარი არ ჰქონია პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან.

ვოლოდიმირ ზელენსკი: ვშიშობ, ისრაელისა და „ჰამასის“ ომი დაჩრდილავს უკრაინაში კონფლიქტს...

ზელენსკიმ აღნიშნა, რომ რუსეთთან ომი ახალ ეტაპზეა და ზაფხულის კონტრშეტევის შემდეგ, რომელმაც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა იარაღისა და სახმელეთო ძალების გრძელვადიანი დეფიციტის გამო, ზამთარი, სავარაუდოდ, გაართულებს ბრძოლას.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, კმაყოფილი იყო თუ არა კონტრშეტევის შედეგებით, უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა: **„შეხედეთ, ჩვენ უკან არ ვიხევთ, კმაყოფილი ვარ. ჩვენ მსოფლიოში მეორე საუკეთესო არმიით ვიბრძვით და კმაყოფილი ვარ, თუმცა ჩვენ ვკარგავთ ხალხს და**

მე ამით არ ვარ კმაყოფილი. ჩვენ არ მივიღეთ ყველა ის იარაღი, რაც გვინდოდა, რითიც ვერ ვიქნები კმაყოფილი, მაგრამ ასევე არ შემიძლია ზედმეტად პრეტენზიის გამოთქმა. არ არის საკმარისი ძალა სასურველი შედეგის სწრაფად მისაღწევად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავნებდეთ. დარწმუნებული ვართ ჩვენს ქმედებებში. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რაც ჩვენია“, – განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორიენტირებულია იარაღის შიდა წარმოების გაზრდაზე და ახლა ეძებს დასავლელ მოკავშირეებს, მათ შორის აშშ-ს, რათა შესთავაზონ ხელსაყრელი სესხები და კონტრაქტები ამ მიზნის მისაღწევად. ზელენსკის თქმით, ფოკუსის ცვლილებამ, შეიძლება, გამოიწვიოს მისი ქვეყნისთვის ნაკლები ეკონომიკური და სამხედრო დახმარება.

„ჩვენ უკვე ვხედავთ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადატანის შედეგებს ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ტრაგედიის გამო. ამას მხოლოდ ბრმები არ აღიარებენ. ჩვენ არ უნდა მივცეთ ადამიანებს საშუალება, დაივიწყონ უკრაინაში მიმდინარე ომი. ჩვენ ვიბრძვით ყურადღებისთვის“, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რამდენ ხანს შეუძლია, თავად ზელენსკი გაუმკლავდეს ომში მყოფი ქვეყნის ლიდერობას, უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სიტყვები არ არსებობს იმის გამოსახატავად, თუ რამდენად რთულია, მაგრამ თანამდებობის დატოვება ვერ წარმოუდგენია.

„გულწრფელად გეტყვით, არ შემიძლია ამის გაკეთება. ეს ძალიან უსამართლო, არასწორი და ყველასთვის აუცილებლად დემოტივაცია იქნება“, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ტერორისტთა შურისძიება ფილიპინურად

ფილიპინების ქალაქ მარავიში აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, დაშავებულია 42 პირი. ადგილობრივი ხელისუფლება მომხდარს შურისძიების მიზნით მოწყობილ

ტერორისტულ აქტად განიხილავს და სავარაუდო თავდამსხმელად „დაულა ისლამია-მაუთის“ დაჯგუფებას მოიაზრებს.

აღნიშნულ დაჯგუფებასა და პოლიციას შორის ორი დღით ადრე მეზობლად მდებარე დასახლებაში შეტაკება მოხდა, რა დროსაც დაჯგუფების 11 მებრძოლი დაიღუპა. მომხდარი დაგმო ქვეყნის პრეზიდენტმა, ფერდინანდ მარკოს უმცროსმა.

ეიფელის კოშკთან ტურისტებს თავს დაესხნენ

პარიზის ცენტრში, ეიფელის კოშკთან შეიარაღებული მამაკაცი ტურისტებს თავს დაესხა, დაიღუპა ერთი და დაშავდა ორი ადამიანი.

შემთხვევა ადგილობრივი დროით, დაახლოებით, 19:00 საათზე მოხდა. პოლიციის ინფორმაციით, დაღუპული გერმანიის მოქალაქეა.

მედია წერს, რომ ეჭვმიტანილი 2016 წელს თავდასხმის დაგეგმვისთვის იყო ნასამართლევი. როგორც მან პოლიციას განუცხადა, „შეწუხებული იყო ამდენი მუსლიმის სიკვდილით პალესტინაში და აღელვებული – ღაზის სექტორში მიმდინარე მოვლენებით“.

მაკრონი შუამავლობისთვის ემზადება

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ საფრანგეთი ძალიან შეშფოთებულია ღაზაში ძალადობის განახლებით და მიემართება კატარში, რათა დაეხმაროს ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ახალი ზავის დადებაში. მაკრონმა ასევე მოუწოდა ისრაელს, განემარტა თავისი მიზნები „ჰამასის“ მიმართ.

„ჩვენ იმ მომენტში ვართ, როდესაც ისრაელის ხელისუფლებამ უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი მიზნები და თავიანთი საბოლოო მიზანი: „ჰამასის“ ტოტალური განადგურება, ვინმე ფიქრობს, რომ ეს შესაძლებელია? თუ ეს ასეა, ომი 10 წელი გაგრძელდება. რეგიონში ისრაელისთვის არ იქნება მუდმივი უსაფრთხოება, თუ მისი უსაფრთხოება მიიღწევა პალესტინელების სიცოცხლის ფასად და, შესაბამისად, რეგიონში საზოგადოებრივი აზრის აღშფოთების ფასად“, – განაცხადა მაკრონმა.

ლევან ნიკოლეიშვილი: სააკაშვილმა საკუთარი მანიფესტით „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ კუბოში ბოლო ლურსმანი ჩააჭედა

(მეექვსე გვერდიდან)

– მათი ბელადი დღემდე მიხეილ სააკაშვილია და მათი ერთი ნაწილი მხარს იმ ძალას დაუჭერს, ვისაც თავად სააკაშვილი, მეორე, დაბნეული და განაწყენებული ნაწილი კი, საერთოდ არ წავა არჩევნებზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთხელ, რომელ ბელადზე ვსაუბრობ ახლა... თანამედროვე საქართველოს ისტორიის ყველაზე უღირს პოლიტიკოსზე; მთავარსარდალზე, რომელმაც ომში საკუთარი ჯარი მიატოვა; ყოფილ პრეზიდენტზე, რომელმაც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი სხვა ქვეყანაში გუბერნატორობის სანაცვლოდ თქვა; ყოფილ პრეზიდენტზე, რომელიც საკუთარ სამშობლოში არაჟნის კონტეინერით შემოიპარა, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოეხდინა; პატიმარზე, რომელმაც სასჯელის მოხდის შიშის გამო საკუთარი ამომრჩეველი ტყუილებში აცხოვრა და თვეების განმავლობაში, საკუთარი ჯანმრთელობით სამარცხვინო მანიპულაციას ეწეოდა. სააკაშვილი, როგორც ჩანს, საკუთარი მანიფესტით გაცოცხლდა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ კუბოში ბოლო ლურსმნები ჩააჭედა.

– ბატონო ლევან, არ შემიძლია სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადებების შესახებაც არ დაგისვათ შეკითხვა... როგორც ჩანს, ეს ადამიანი ისევ რევოლუციური სცენარის განვითარებაზე ოცნებობს და აღტყინებით საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოსწონს ერთმანეთთან დაპირისპირებული, პოლარიზებული და ორ ნაწილად გახლეჩილი საქართველო. თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა კონსტრუქციული წინასაარჩევნო პერიოდის მოლოდინი გვქონდეს პარტიისგან, რომელიც დღესაც ომის პროპაგანდას ეწევა და დღესაც სახელმწიფო გადატრიალებაზე და ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობაზე საუბრობს?

– ეს არის ამ პარტიის უბედურება! მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, მისი პოლიტიკური ველი საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა, იშვიათად თუ ნახავთ აქ პოლიტიკურ ძალას, რომლისგანაც რაიმე რაციონალურ წინადადებას ვისმენდეთ. ოპოზიციაში ჩვენ ვნახავთ ბევრ პოლიტიკოსს, რომელიც იტყვის, რომ არ მოსწონს ხელისუფლების მიერ გადადგმული ესა თუ ის ნაბიჯი, მაგრამ თითქმის ვერ ვნახავთ ოპოზიციონერს, რომელიც ხალხს მის ხედვასთან ერთად კონკრეტულ ალტერნატივასაც შესთავაზებს. ის, რასაც თემურ ალასანია ამბობს, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სახიფათო გზავნილებია და სწორედ ამის გამო ვერ იკრებს ეს პარტია ირგვლივ ამომრჩეველს. ჩვენს თვალწინ ორი ომი მიმდინარეობს და ქართველმა ხალხმა მშვენივრად იცის, რა დამანგრეველიც შეიძლება აღმოჩნდეს ის ჩვენი ქვეყნისთვის! ჩვენი სახელმწიფოს მთავარი მონაპოვარი მშვიდობაა და იმ ძალის ირგვლივ, რომელიც მშვიდობას უპირისპირდება, გაერთიანდება მხოლოდ ავანტიურისტთა ჯგუფი, რომლებიც ეცდებიან მათთან მიკედლებით გარკვეული სარგებელი და გამორჩენა ნახონ.

– თქვენ „ნაციონალების“ მომხრეთა მცირე რაოდენობაზე გაამახვილეთ ყურადღება, თუმცა, ბოლო კვლევების მიხედვით, მათი ამომრჩევლების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 20%-ს შეადგენს. 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენ არაერთხელ გვინახავს მათი საპროტესტო აქციები, სადაც სულ რამდენიმე ასეული, მაქსიმუმ რამდენიმე ათასი ადამიანის შეკრებას ახერხებენ ხოლმე, მეტის ვერ. ბატონო ლევან, რამდენად რეალურად გეჩვენებათ თქვენ იმ კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც, მოძალადე, პატიმრების გამაუპატიურებელ პარტიას ქვეყნის ყოველი მეხუთე ამომრჩეველი უჭერს მხარს?

– კვლევები ერთია, რეალობა კი – მეორე. ჩვენ არაერთი კვლევა გვინახავს არაერთ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ რეალობა ხშირად არცთუ ისე მცირედით განსხვავდება ხოლმე ამ შედეგებისგან. მოდით, ვიყოთ ობიექტურები და ამ კვლევებშიც გარკვეული პოლიტიკური ინტერესები დავინახოთ... მარტო კვლევების იმედად ამ პოლიტიკური ძალის რეიტინგის შესახებ მე ანალიზს ვერ და არ გავაკეთებდი. არჩევნებია წინ და ის დღე ყველაფერს რეალუარად გვაჩვენებს.

– და ბოლოს, თქვენი აზრით, როგორი პოლიტიკური მომავალი შეიძლება ჰქონდეს ნიკა მელიას მაშინ, როცა ლევან ხაბეიშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ უკან, როგორც თქვენ უწოდეთ, ბელადი სააკაშვილი, ოლიგარქი კეზერაშვილი და, რაც მთავარია, დასავლეთი დგას? ამის ფონზე, რა შანსები აქვს მელიას, დარჩეს პოლიტიკაში და შექმნას გაერთიანება, რომელიც შეძლებს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე?

– ვერ გეტყვით, რა ბედი ელის მელიას პოლიტიკურ მომავალს და, სიმართლე გითხრათ, არც მანაღვლებს, მაგრამ ერთ რჩევას კი სიამოვნებით მივცემდი – ეყოს გამბედაობა და აღიაროს, რომ მისი დრო წავიდა, არ ყოფილა პოლიტიკა მისი საქმე და შეეშვას იმის კეთებას, რაც არ გამოუვიდა. ამ რჩევას ვაძლევ არა მხოლოდ მელიას, არამედ მასავით პოლიტიკაში შემორჩენილ კიდევ ბევრ ადამიანს, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, პოლიტიკის კეთება არ შეძლებიათ.

„რეპორტიორი“

◎ ევრო–2024

თუ ოცნებას ავიხდენთ...

ჰამბურგში ევრო – 2024-ის კენჭისყრის ერთსაათიანი ცერემონიალი გაიმართა მუფონის, სნეიდერის, ხედირას, მატუიდის, დავიდ სილვასა და მუსიკალური ხელოვნების ვარსკვლავთა მონაწილეობით, რომელმაც ჯგუფური ეტაპის მონაწილენი დროისა და ადგილის მიხედვით დაალაგა.

ბუნებრივია, გამორჩეულად საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეთა ვინაობა გვაინტერესებდა იმ შემთხვევაში, თუ ერთა ლიგის საშინაო პლეი-ოფებში ჯერ ლუქსემბურგს (21 მარტი), ხოლო შემდეგ საბერძნეთ-ყაზახეთს შორის გამარჯვებულს დავამარცხებთ (26 მარტი).

გაირკვა, რომ თუ ოცნებას ავიხდენთ, ვითამაშებთ **F ჯგუფში,** სადაც ჩვენი ნაკრების შეხვედრათა კალენდარი ასეთი იქნება:

18 ივნისი

დორტმუნდი. საქართველო – თურქეთი.

22 ივნისი

ჰამბურგი. საქართველო – ჩეხეთი.

26 ივნისი

გელზენკირხენი. საქართველო – პორტუგალია.

რაც შეეხება დანარჩენ ჯგუფებს, იქ მოხვდნენ:

„A“ ჯგუფი. გერმანია, შოტლანდია, უნგრეთი, შვეიცარია.

„B“ ჯგუფი. ესპანეთი, ხორვატეთი, იტალია, ალბანეთი.

„C“ ჯგუფი. სლოვენია, დანია, სერბეთი, ინგლისი.

„D“ ჯგუფი. „ა“ ლიგის პლეი-ოფის გამარჯვებული, ნიდერლანდები, ავსტრია, საფრანგეთი.

„E“ ჯგუფი. ბელგია, სლოვაკეთი, რუმინეთი, „ბ“ ლიგის პლეი-ოფის გამარჯვებული.

დავძენთ, რომ მომავალი ფორუმის მასპინძელი ქალაქებია ბერლინი, მიუნხენი, დორტმუნდი, შტუტგარტი,

გელზენკირხენი, ფრანკფურტი, ჰამბურგი, დიუსელდორფი, კიოლნი და ლაიფციგი, თვით კონტინენტური ფორუმის საპრიზო ფონდი კი, რომელიც იქვე გამართულ უეფას აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდა, ასეთი გახლავთ:

ტურნირში მონაწილეობის საფასური: 9, 25 მილიონი ევრო.

მატჩს ბონუსი: გამარჯვებაზე: 1 მილიონი ევრო, ფრეზე – ნახევარი მილიონი ევრო.

მერვედფინალში გასვლის ბონუსი: 1,5 მილიონი ევრო.

მეოთხედფინალში გასვლის ბონუსი: 2,5 მილიონი ევრო.

ნახევარფინალში გასვლის ბონუსი: 4 მილიონი ევრო.

ფინალისტის ბონუსი: 5 მილიონი ევრო.

ევროპის ჩემპიონის ბონუსი: 8 მილიონი ევრო.

მაქსიმალური თანხა, რომლის გამომუშავებაც ევროპის ჩემპიონს იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ჯგუფში სამივე მატჩს მოიგებს, 28, 25 მილიონი ევრო იქნება.

◎ გუშინ გათუმში

აჭარაბეთ არენაზე ასლან ბალაძის ვარსკვლავი გაიხსნა

„ძალიან აღელვებული ვარ, ასეთი მედნიერი არ ვყოფილვარ არასდროს და სიტყვებს ვერ ვპოულობ მადლიერების გამოსახატავად. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი დაფასებისათვის თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით დიდი მადლობა კი აჭარაბეთს, რომ შექმნა ასეთი პროექტი, იმედი მაქვს, რომ ეს პროექტი გაგრძელდება და კიდევ მევრ ვარაკვლავს ვიხილავთ აჭარაბეთ არენაზე. დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი და ემოციურია ჩემთვის“ – განაცხადა **ასლან ბალაძემ.**

„ვულოცავ ასლანს ამ მნიშნელოვან დღეს, ძალიან მედნიერი ვარ, რომ დღეს ასლან ბალაძის ვარსკვლავი გაიხსნა და ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩვენი ვარსკვლავები აჭარაბეთ არენაზე არის ერთად. ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის ადამიანის დაფასება, რაც ძალიან მნიშნელოვანია, ამაზე დიდი რა შეიძლება გააკეთო არ ვიცი.

მიხარია, რომ აჭარაბეთ არენაზე ვარსკვლავთა ხეივანს საფუძველი სწორედ ჩემი ვარსკვლავის გახსნით ჩაეყარა და ვიმედოვნებ, კიდევ ძალიან მევრი ვარსკვლავი გაიხსნება აქ,“ – განაცხადა ვეტერანმა ფეხბურთელმა რევაზ ჩელებაძემ. აჭარაბეთის ინიციატივით 2022 წელს, „აჭარაბეთ არენაზე“ ვარსკლავთა ხეივანს ჩაეყარა საფუძველი, სადაც უკვე გახსნილია რევაზ ჩელებაძის, ვახტანგ ქორიძის და ასლან ბალაძის ვარსკვლავები.

ორიოდე სიტყვით

რაგბი

ლევან მაისაშვილის გაწვრთნილი შავი ლომი ევროპის სუპერთასის მესამე გათამაშების ნახევარფინალშია და შარშანდელივით სატიტულო ბრძოლის მისადგომებთან ისრაელის თელ-ავივ ჰითთან იომებს. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ორგზის ჩემპიონი აქამდე დაუმარცხებლად თამაშობს.

ამჯერად თბილისელებმა ავჭალის სტადიონზე დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარეს ესპანურ იბერიანსს – 41:0 (პირველი ტაიმი 34:0), მათმა მომავალმა მეტოქემ კი 31:6 რუმინულ ვულვზს სძლია.

კრივი

რამდენიმე დღის წინათ გულით გავიხარეთ, როცა მონტენეგროდან საქართველოს 22-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის 3 მედლით დაბრუნდა – 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

ტყავის ხელთათმნის ქართველ ოსტატებს რომ საიმედო ცვლა ეზრდებათ, ერევანში გამართულმა 18-წლამდელთა მსოფლიოს პირველობამაც დაადასტურა, სადაც ქართველი ჭაბუკები ასევე სამჯერ გახდნენ პრიზიორები – 3 ბრინჯაო.

კურიოზი

უპრეცედენტო ფაქტი მოხდა ვაკეში, სადაც ქალთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის შეხვედრაში საქართველოსა და ლუქსემბურგის გუნდებს შორის პირველი ტაიმის მიწურულს შუქი ჩაქრა.

ამ დროს სტუმრები 2:0 იგებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც თამაში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო სარბიელზე განახლდა, ბაქრაძის, ჭყონიას, პასიკაშვილისა და დანელიას გოლებით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ – 4:2. ვულოცავთ!

ფუტსალი

მოხდა ის, რასაც ყველაზე უფრო ვუფრთხოდით – ბრაზილიელ ნატურალიზებულთა სიმრავლის გამო (14-დან ერთბაშად 8 წევრი) საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან მოიკვეთა და ოცნება ოცნებად დაგვრჩა.

შეგახსენებთ, რომ ავთანდილ ასათიანის გუნდს ჯერ პორტუგალიელებმა უჩივლეს, ხოლო შემდეგ საკონტროლო გასროლა ფინელებმა განახორციელეს, ვისაც ჯვაროსნებმა ჯერ 5:0 სძლიეს, სტუმრად კი ფრედ – 3:3 ეთამაშნენ. დავძენთ, რომ ლეგიონერთა სიუხვის გამო ახლახანს საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებიც დააქვეითეს ა-დან ბ დივიზიონში. როდის ვისწავლით ჭკუას?

ძიუდო

ძიუდოს სამშობლოში გამართულ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე არაერთ ქართველს უსახელებია თავი და საამაყოა, ტატამის ჯვაროსანი დიდოსტატები ტრადიციებს რომ უფრთხილდებიან. დასტურად იაპონიის დედაქალაქში ამ უქმებზე გამართული მორიგი ბატალიები გამოდგება, სადაც მიუხედავად უკანასკნელ მომენტში გუნდის რამდენიმე ლიდერის ჩახსნისა, ღირსეული შედეგი ვაჩვენეთ.

სტარტზე განსაკუთრებით წარმატებით მსოფლიოს ჩემპიონმა **ლუკა მაისურაძემ** იჭიდავა, რომელიც ფინალში გავიდა და მასპინძელთან მარცხის შემდეგ საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა.

ასევე საპატიო კვარცხლბეკზე ააბიჯა ახალგაზრდა **გიორგი ტერაშვილმა,** რომელმაც ბრინჯაო დაიმსახურა, ხოლო ეთერ ლიპარტელიანს მსგავს პატივამდე ერთადერთი ბრძოლის მოგება დააკლდა.



გია არაბიძე: „ენგურჰესის“ მთლიანი კომპლექსი ქართული სადისპეტჩეროდან იმართება

ოკუპირებულ აფხაზეთში „ენგურჰესის“ კომპლექსში შემავალი ჰიდროელექტროსადგურის, „ვარდნილჰესი 2-ის“ აღდგენას და აფხაზური კომპანია „სოხუმჰესითვის“ გადაცემას აპირებენ. ამ შემთხვევაში დე ფაქტო ხელისუფლება ინვერსტორისგან უფასოდ მიიღებს ელექტროენერგიის 20%-ს. სოხუმს სადგურის აღდგენას სთავაზობს „ენგურჰესიც“. არსებული ინფორმაციით, ამ შემთხვევაში, ელექტროენერგია ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის 50/50-ზე გადანაწილდება.

ამჟამად „ენგურჰესის“ კომპლექსში შემავალი ვარდნილჰესების კასკადის მხოლოდ პირველი სადგური მუშაობს. კასკადის II, III და IV სადგურები კი გაჩერებული და გაძარცვულია (თითოეულის სიმძლავრე 40 მეგავატია). ვითარების შეფასება „რადიო თავისუფლების“ ენერგეტიკოსს **გია არაგიძეს** სთხოვა.

ეხო კავკაზა: აფხაზური მხარე აქტიურად მუშაობს „ვარდნილჰესი 2“-ის აღდგენაზე. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია, ამ პროექტის განხორციელება?

გია არაგიძე: პრინციპში, ჩვენ 120 მეგავატს ვკარგავთ, ვარდნილი 2,3,4 არ მუშაობს. ძალიან მძიმე სიტუაციაა იქ, ვიცი მატონი ლევან მეგონიასგან („ენგურჰესის“ დირექტორი – რედ.) ამ საკითხთან დაკავშირებით, იქ ფაქტობრივად გაძარცვულია და დალამულია აბსოლუტურად ყველაფერი. მათი წესრიგში მოყვანა საკმაოდ რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული პროექტია. თუმცა, თანხები რომ გვერდზე გადავდოთ, იდეა მისაღებია, რადგან ფაქტობრივად 120 მეგავატი იკარგება. ოღონდ ჩემთვის ცოტა გაუგებარია, ამას აფხაზური მხარე როგორ მოაგვარებს. ნამდვილად არ ვიცი.

ეხო კავკაზა: საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა პროექტი „ენგურჰესმა“ განახორციელოს და ელექტროენერგია შემდეგ გადანაწილდეს ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის 50/50-ზე, რამდენად მისაღებია ეს ვარიანტი?

გია არაგიძე: ეს ვარიანტიც მისაღებია, გარკვეული ხელშეკრულების საფუძველზე, რომ ის 40 მეგავატი ავამუშავოთ და მოვიყვანოთ წესრიგში. ენგურის მთლიანი კასკადის ამუშავება მისაღებია, მაგრამ დეტალებია დასაზუსტებელი. თვითონ იდეა მისაღებია, რომ ქართულმა მხარემ აღადგინოს, მოიყვანოს წესრიგში.

ეხო კავკაზა: შეძლებს აფხაზური მხარე დამოუკიდებლად ამ პროექტის განხორციელებას?

გია არაგიძე: თეორიულად ეს შესაძლებელია. ტანკი დგას, შემოვა და აღადგენს – დაუშლი? მაგრამ (ოკუპირებული) აფხაზეთის ეკონომიკას ამის აწევა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. მათ ვერ მოახერხეს ოჩამჩირის ხაზების გარემონტება და მოწესრიგება, გამრიცხველიანება. ეს უნდა გააკეთოს რუსმა, რაკვირველია. აფხაზი ამას ვერ გააკეთებს.

ახლა რამდენად უღირს რუსეთს თანხების ჩადება ამ მძიმედ აღსადგენ „ვარდნილჰესებში“ – ეს უკვე სხვა საკითხია. რუსეთი მხოლოდ პოლიტიკური მიზნით თუ წამოვა და გააკეთებს, თორემ 40 მეგავატი რუსეთისთვის არაფერს წარმოადგენს.

მაგალითად, აეროპორტის წესრიგში მოყვანა რუსეთის პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარეობს და ამას ეკონომიკასაც მიაგბამს, მაგრამ ის 40 მეგავატი რაში დასჭირდება, ეს ცოტა ძნელი სათქმელია ჩემთვის.

ეხო კავკაზა: ვარაუდია, რომ ელექტროენერგია, შესაძლოა, ოკუპირებულ აფხაზეთში კრიპტოვალუტის გამომუშავებას მოახმარონ.

გია არაგიძე: ბუნებრივია, (ოკუპირებული) აფხაზეთის ენერგეტიკაში არსებული პრობლემები, ძირითადად, (კრიპტოვალუტის) მაინინგითაა გამოწვეული. აფხაზეთის მთავრობა ორი მიმართულებითაა მოწადინებული. პირველი – რომ რაღაცნაირად ჩააქროს იმ აფხაზი მოსახლეობის უკმაყოფილება, რომელიც ელექტროენერგიის ხარისხით დაწყებული და რაოდენობით დამთავრებული, არის ძალიან ცუდი, მეორე მხრივ კი აფხაზეთის მთავრობაში იქნება გარკვეული კატეგორია ხალხისა, რომელიც რაღაცნაირად მიბმული იქნება მაინინგებზე და უკონტროლო ხარჯვებზე, რაც დღეს ხდება.

ეხო კავკაზა: ტექნიკურად რომ შევხედოთ, „ვარდნილჰესი-2“, აღდგენის შემთხვევაში, „ენგურჰესისგან“ დამოუკიდებლად მუშაობას შეძლებს?

გია არაგიძე: მთელი ენგურის კომპლექსი თავიდან ბოლომდე იმართება საქართველოს სადისპეტჩეროთი. (ოკუპირებულ) აფხაზეთს დღეს (მართვის) არავითარი მექანიზმი არ გააჩნია. მხოლოდ ქართული სადისპეტჩეროდან ხდება მისი მართვა – კაშხლიდან დაწყებული, სამანქანო დარბაზით დამთავრებული. დღეს ინფრასტრუქტურა არ არსებობს, რომ აფხაზეთის მხარემ ეს მართოს.

ეხო კავკაზა: როგორ აფასებთ, იმას რომ რუსეთი წელს უკვე ითხოვს აფხაზური მხარისგან ელექტროენერგიის საფასურის გადახდას?

გია არაგიძე: დიახ, აქამდე არ იყო პრობლემა, დენი უფასოდ მიდიოდა. ნოემბრის თვეში კი აფხაზურმა კომპანია „ჩერნომორენერგომ“ ორი ხელშეკრულება გააფორმა რუსულ მხარესთან და ეს არცთუ იაფი კონტრაქტია. რუსეთმა უთხრა, რომ თუ არ გადაიხდი ამ თანხას, მე (ელექტროგადამცემი ხაზი) „სალხინოთი“ დენს აღარ მოგაწოდებ. დეკემბრის კონტრაქტები ჯერ კიდევ არ არის დადებული.

აფხაზებს საკმაოდ სერიოზული პრობლემა აქვთ. დღიური მოხმარება დაახლოებით 7 მილიონი კვტ/სთ-ის ფარგლებშია, როცა 2-3 წლის წინ 10-12 მილიონი იყო. ძალიან სერიოზულადაა აფხაზეთის მოხმარება შემცირებული, იმიტომ რომ „ენგურჰესში“ წყალი არ გვაქვს, ენგური მუშაობს ჩამოდინებაზე. რაც გამომუშავდება, დღეში დაახლოებით 3-3.5 მილიონი კვტ/სთ ფაქტობრივად მიდის აფხაზეთში, ამდენივე შემოდის „სალხინოთი“ და ამით იფარება დღეს აფხაზეთის მოხმარება.

დეფიციტის დასაფარად, რაც დეკემბერში ელოდებათ, დაახლოებით 10 მილიონი დოლარი სჭირდება კიდევ, ეს სერიოზული პრობლემაა. ამ პირობებში სავარაუდო ვარიანტია გრაფიკის შემოღება და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა.

სანდრო ჯუფალაკიანი,
„რადიო თავისუფლება“

ოქროში ინვესტირება საუკეთესოა!

საქართველოს ეროვნული ბანკი ოქროს სერტიფიკატების გამოშვებასა და ოქროს ზოდების გაყიდვას იწყებს

საინვესტიციო გაზრისა და აქტივების დივერსიფიცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული საინვესტიციო ინსტრუმენტის, ოქროს სერტიფიკატების გამოშვებასა და ოქროს ზოდების გაყიდვას იწყებს, – ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს. მათივე ცნობით, შესაბამისი გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის საბჭომ მიიღო. ამასთან, როგორც ეროვნული ბანკის ინფორმაციაშია აღნიშნული, ბოლო პერიოდში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მომატებული ინფლაციისა და გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, ოქროზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზრდილია.

„ოქროში ინვესტირება ერთ-ერთი საუკეთესო საინვესტიციო საშუალებაა, რომელიც მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება და მოთხოვნა მუდმივად არსებობს. ოქრო დანაზოგების დივერსიფიკაციის კარგი საშუალებაცაა, ვინაიდან მასზე მოთხოვნა სწორედ მაშინ იზრდება, როდესაც სხვა ტიპის ინვესტიციები უფრო რისკიანი ხდება. ოქროს სერტიფიკატი ოქროთი უზრუნველყოფილი უპროცენტო ფასიანი ქაღალდია, რომელიც ელექტრონული ფორმით არსებობს. ის გამყარებულია სერტიფიკატის ნომინალის იდენტური წონის ოქროს ზოდებით, რომლებიც ეროვნული ბანკის საცავში ინახება. უმაღლესი სინჯის ზოდები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

სერტიფიკატის მფლობელს რამდენიმე უპირატესობა აქვს. მას შეუძლია სერტიფიკატის როგორც მეორად გაზარზე გაყიდვა, ასევე მისი განაღდება და ეროვნული ბანკის საცავიდან კუთვნილი ოქროს ზოდის მიღება. ოქროს სერტიფიკატების შეძენას მომხმარებლები კომერციულ ბანკებში შეძლებენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოქროს სერტიფიკატის ფასი ოქროს საერთაშორისო ფასის ცვლილების შესაბამისად დადგინდება.

ოქროს სერტიფიკატებიც და ზოდებიც 20-გრამიანი და 1 კგ-იანი ნომინალის იქნება. 20-გრამიანი ნომინალის ოქროს ზოდის შეძენა ეროვნული ბანკის ინტერნეტმაღაზიიდანაც იქნება შესაძლებელი. საიტზე მომხმარებელი დეტალურად გაეცნობა ზოდების შესახებ ინფორმაციას და ფასს, რომლის დადგენაც ყოველდღიურად ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის ვებგვერდზე (LBMA) დაფიქსირებული ფასით და ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით მოხდება. 1-კგ-იანი ნომინალის ოქროს ზოდის შეძენა კი საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან იქნება შესაძლებელი (ორშაბათი-პარასკევი 10:00-13:00 სთ; 14:00-17:00 სთ.)“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის ინფორმაციაში.

ამასთან, მათივე თქმით, ეროვნული ბანკი დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანის, The Royal Mint-ის მიერ დამზადებულ, მაღალი სინჯის (AU 999,9) ოქროს ზოდებს გამოუშვებს გაყიდვაში.

„The Royal Mint-ი მსოფლიოს წამყვანი და მრავალწლიანი ისტორიის მქონე ზარაფხანაა, რომელიც ყოველწლიურად 60 ქვეყნისთვის ამზადებს პროდუქციას. ოქროს სერტიფიკატებისა და ოქროს ზოდების გაყიდვა 4 დეკემბრიდან დაიწყება.

მიმდინარე წელს საერთაშორისო ბაზრებზე ოქროზე მოთხოვნა გაიზარდა. ანალიტიკოსთა პროგნოზით, 2024 წელს უნცია ოქროს ფასი 2 000 დოლარის ნიშნულთან შენარჩუნდება, 2025 წლისთვის კი 2 500 დოლარამდე გაიზრდება“, – აღნიშნულია ეროვნული ბანკის ინფორმაციაში.

ქვეშეთი-კობის გზაზე ახალი გვირაბი გაიჭრა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეშეთი-კობის 23 კმ-იანი გზისა და გვირაბების მშენებლობა აქტიურად გრძელდება. პროექტი ორ მონაკვეთადაა დაყოფილი, რომლის ფარგლებშიც შენდება ორზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, ხუთი ხიდი, ხუთი გვირაბი და რეაბილიტაცია უტარდება ერთ ხიდს.

უწყების ცნობით, ამ დროისთვის, პროექტის მეორე მონაკვეთზე ოთხი გვირაბიდან უკვე გაიჭრა ყველაზე გრძელი – 1.5 კმ სიგრძის გვირაბი, გაჭრილია მე-3 გვირაბიც, დანარჩენებზე კი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოები გრძელდება ხუთივე ხიდზეც, სადაც ბურჯებისა და ხიმინჯების მოწყობა მიმდინარეობს.

„პროექტის პირველ მონაკვეთზე 9 კმ სიგრძისა და 15 მ დიამეტრის გვირაბის 8 კმ-ზე მეტი უკვე გაჭრილია. გვირაბის ბურღვის სამუშაოები პროექტისთვის სპეციალურად დამზადებული გვირაბგამყვანი დანადგარით (TBM – Tunnel Boring Machine) წარმოებს, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას. ამ ეტაპზე სამუშაოების დაახლოებით 90% შესრულებულია. ახალი, 9 კმ-იანი გვირაბი საქართველოში – ყველაზე გრძელი, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უნიკალური იქნება. ქვეშეთი-კობის გზის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გუდაურამდე მისასვლელი 5 კმ-იანი გზისა და ტურისტული ცენტრის მშენებლობაც.



ახალი გზის დასრულების შემდეგ კობის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა ზამთარში აღარ შეიზღუდება, ხადის ხეობის 10-მდე სოფლის მოსახლეობა ზამთარში შეინარჩუნებს კავშირს გარე სამყაროსთან და ექნებათ შეუფერხებელი წვდომა ყველა საჭირო და აუცილებელ მომსახურებაზე. ახალ გზაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებასთან ერთად, ახალი გზა შეამცირებს გადაადგილების დროსაც. თუ ამჟამად ქვეშეთიდან კობამდე მგზავრობას ერთ საათამდე სჭირდება, ზვავსაშიშროების გამო კი ხშირად მოძრაობა იკრძალება კიდეც, პროექტის დასრულების შემდეგ მონაკვეთის გავლას მხოლოდ 15 წუთი დასჭირდება. თბილისი-გუდაურამდე გადაადგილების დრო, ორი საათის ნაცვლად, ერთი საათი და 30 წუთი გახდება. თბილისი-სტეფანწმინდის მიმართულებით გადაადგილებას კი, ორი საათი და 30 წუთის ნაცვლად, ერთი საათი და 45 წუთი დასჭირდება.

ქვეშეთი-კობის გზის პროექტი აზიის განვითარებისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკებთან (EBRD) გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება, რომლის საერთო ღირებულება 1.2 მილიარდ ლარს შეადგენს. პროექტის დასრულება 2024 წლისთვის იგეგმება“, – აღნიშნულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციაში.

№135-136. ორშაბათი, 4 დეკემბერი, 2023 წელი.



...ახლა კი ჩემთვის
ნათელია,
თუ ივერიის
მცირეზე მცირე
რიცხვობრივად,
ჰატარა ერი,
მარად, ეროვლმხრივ
შემორტყმული,
უამრავ მტერით
მაინც გადარჩა,
და გადარჩა,
ის, როგორც ერი.

აქ ჰოეზია იეო მისი
შემჭიდროება,
ანკარა წყარო,
მომჩქეფარე
იმ ხალხის გულით,
მის სასიცოცხლო
ძალთა-ძალა
და საზრდოება...
აი, ლირიკა,
მთელი მისი
დიდი წარსულით,
აი, რად უყვართ
საქართველო
მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ
საქართველოს
მგოსანთა მხარეს!

(„პოემიდან – „საუბარი ლირიკის“ შესახებ“)

„აი, რად უყვართ საქართველო“ მსოფლიო ქნარებს!..

გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე და გოლოს – გალაკტიონ ტაბიძე... არც მოიძებნება, ფაქტობრივად, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში სამი უფრო დიდი, გუმბერაზი სახელი, ვიდრე ეს უგადლო ტრიადაა... განუზომელია მათი პოეტური მწვერვალების სიმაღლე, ერისა და ქვეყნის სულიერ განწყობაზე ზეგავლენის ძალა.

ამ სამი განსაცვიფრებელი, გუმბერაზი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი, დროის მცირე ინტერვალებით გაყოფილი, თუმცა კი მაინც ერთმანეთის მიყოლებით გამოცემული სამი შესანიშნავი წიგნი-ერთტრომეული – „გოგლა ლეონიძე“, „ირაკლი აბაშიძე“ და „გალაკტიონ ტაბიძე“ მიიღო ბოლო ხანებში ქართველმა მკითხველმა.

ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ უზადოდ გამოცემულ ამ წიგნების დღის სინათლეზე გამოჩენას ცნობილ მრეწველსა და მეცენატს, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძეს უნდა ვუმადლოდეთ!

რომ არა მისი ჭეშმარიტად მამულიშვილური მონდომება და გულითადობა, ვინ იცის, როდის დაიდებდნენ „ერთ ჭერქვეშ ბინას“ ჩვენი პოეზიის რაინდები...

ამ ტომებში თავმოყრილია ჩვენი სასიქადულო ქართველი მწერლების, ლიტერატურული კრიტიკოსების, „სულის ინჟინერ“ ხელოვანთა მოგონებები, ჩანაწერები, ესეები...

ამ ერთგვარი ტრილოგიის მესამე გამოცემა, როგორც გითხარით, ახლახან გამოსული „გალაკტიონ ტაბიძე“ გახლავთ, რომლის წარდგენა 28 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის იმ დარგაზში შედგა, რომლის კედლებს ათწლეულების მანძილზე არაერთი ღირსშესანიშნავი ლიტერატურული მოვლენა ახსოვს.

„გალაკტიონ ტაბიძის“ წარდგენის საღამო დაიწყო მგოსნის ლექსებზე შექმნილი სიმღერებით, რომლებიც გამოცემაში შესული შესანიშნავი ფოტომასალის თანხლებით მიმდინარეობდა. ხოლო შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა გალაკტიონის კრებულის ერთ-ერთმა შემდგენელ-რედაქტორმა, აკადემიკოსმა **ვალერი ასათიანმა.**

შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** წინასიტყვაობის ავტორმა და ასევე ერთ-ერთმა შემდგენელ-რედაქტორმა **ემზარ კვიტაიშვილმა**, აკადემიკოსმა **ინესა მერაბიშვილმა**, პოეტმა **ბაღათერ არაბულმა,** მწერალმა და პუბლიცისტმა **ზაალ ბოტკოველმა,** მწერალმა და მხატვარმა **რეზო ადამიამ,** რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ პოეტმა **დავით შემოქმედელმა.**

„პოეტთა მეფის“ გუმბერაზობა კიდევ ერთხელ არაჩვეულებრივი მოხდენილობით წარმოაჩინა ჩვენმა სასიქადულო სწავლულმა ქალბატონმა, აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა:

„გალაკტიონს კარგად მოეხსენებოდა მისი თანამედროვე დასავლური ხელოვნების ყველა მიმართულება, მაგრამ პოეტი ქართული ლექსის, ტრადიციების ერთგული დარჩა და ავანგარდიზმს დაახვედრა განახლებული, მაგრამ ჭეშმარიტად ჰარმონიული პოეზია. ამდენად, გალაკტიონი მოგვევლინა არა მხოლოდ როგორც ორიგინალური, არამედ, როგორც გენიალური ნოვატორი. ეს უკანასკნელი გულისხმობდა არა მარტო სიტყვათა და რითმათა, არამედ, უმთავრესად ხედვის ნოვატორობას, რაც, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში ახალი სამყაროს აღმოჩენას ნიშნავდა“.

ვალერი ასათიანი და ვახტანგ ვეფხვაძე

როგორც ყოველთვის უბრალო და დამაჯერებელი იყო თავად ბატონ **ვახტანგ ვეფხვაძის** გამოსვლა, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, „ქართული მწერლობის პოპულარიზაციისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის“ „ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

თავის გამოსვლაში ბატონმა ვახტანგმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ერთგვარი სერიის გამოცემის იდეა მასა და მის მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მეწარმესა და ქველმოქმედს **დავით სარალიძეს** ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ერთობლივად დაებადათ და... აი, ამ ეროვნული საქმის განხორციელება წარმატებით შეძლეს კიდეც!

მადლიერების მევრი სიტყვა გაისმა საღამოზე ბატონი ვახტანგ ვეფხვაძის მისამართით, მევრი სასიკეთო სურვილიც გამოითქვა, რომელთა შორის აუცილებლად გამოსაყოფია აზრი იმის შესახებ, რომ XX საუკუნეში კიდევ არაერთი დიდებული ქართველი შემოქმედის სახელი ბრწყინავს, რომლებიც ნამდვილად ღირსნი არიან იმისა, რომ მათი ნაღვაწი ასეთივე შესანიშნავი სახით იყოს წარმოჩენილი და რომ „გალაკტიონ ტაბიძით“ ამ საშვილიშვილო პროექტის „კარის დახურვა“ ნამდვილი საცოდაობა იქნებოდა...

სამივე გამოცემული კრებულის ერთადერთი „ნაკლი“ მათი ერთობ მოკრძალებული ტირაჟია, ამდენად, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მესამე ტომის „არქიტექტონიკის“ მოკლე დახასიათება. ტრილოგიის ერთგვარად „ჩამკეტი“ წიგნი, თავად იდეის ავტორის ვახტანგ ვეფხვაძისა და შემდგენელთა წინასიტყვაობის შემდეგ, იწყება ჩვენი სასიქადულო ლიტერატურათმცოდნის გურამ ასათიანის ესსეი „რაც დავიწყებით არ იბინდება“ და შემდგომ მოსდევს ნოდარ დუმბაძის, თამაზ ჭილაძის, რევაზ თვარაძისა და თამაზ ჩხენკელის წერილები, მერე კი გალაკტიონის ავტობიოგრაფიის ნაწყვეტები. ამის მომდევნოდ, გალაკტიონის რამდენიმე ლექსის შემდეგ, ამ შესანიშნავად ილუსტრირებულ წიგნში, რომლის ფოტოსურათები ჩვენმა სახელოვანმა კოლეგამ, ჟურნალისტმა **დემიკო ლოლაძემ** მოამზადა, გამორჩეული დიზაინი კი **კახა ბახტაძეს** ეკუთვნის, ასევე შესულია ალექსანდრე აბაშელის, ტიციან ტაბიძის, დემნა შენგელაიას, ვასილ გარნოვის, დავით კლდიაშვილის, გერონტი ქიქოძის, გიორგი ლეონიძის, მიხეილ კვესელავას, აკაკი ხინთიბიძის, ნოდარ ტაბიძის, მუხრან მაჭავარიანის, ვახტანგ ჯავახაძის, ბესიკ ხარანაულის, გურამ ბენაშვილის, ემზარ კვიტაიშვილის, დავით წერედიანის, თამაზ წივწივაძის, ინესა მერაბიშვილის, შოთა ნიშნიანიძისა და სხვა რჩეულ კალმოსანთა შესანიშნავი წერილები ქართული პოეზიის მეფეზე... როგორც გითხარით, ეს სამახსოვრო გამოცემა კიდევ ერთხელ გვახარებს გალაკტიონის უკვდავი ლექსებით.

საპრეზენტაციო საღამოს მიწურულს აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა გაიხსენა ნოდარ დუმბაძის დაუვიწყარი სიტყვები: **„მსოფლიო ლიტერატურაში გალაკტიონის გარდა სხვა პოეტი არ ვიცი, რომელსაც 39 შედევრი ჰქონდესო“...**

ნოდარ დუმბაძე ასე თვლიდა, 39 შედევრიო!..

კიდევ, შოთა ნიშნიანიძის სულში ჩამწვდომი სიტყვები: **„იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, თურმე იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი“** და მურმან ლებანიძის ცნობილი ფრაზა: **„ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა...“**

არაჩვეულებრივად თბილ ატმოსფეროში ჩავლილი საღამო კი ერთი მცირე ვიდეოკლიპით დასრულდა, რომელშიც ჩვენი სახელოვანი დირიჟორი და კომპოზიტორი, დაუვიწყარი მაესტრო **ჯანსუღ კახიძე** გალაკტიონის ლექსზე „მთაწმინდის მთვარე“ დაწერილ სიმღერას თავადვე ასრულებს... ასრულებს დიდებულად, ვირტუოზულად, მხოლოდ კახიძისეულად!

ბოლოს იმის იმედით გვინდა დაგემშვიდოგოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის და მისი დიდი სამეგობროს ეს შესანიშნავი, სამამულო ლიტერატურისთვის უაღრესად საგულისხმო პროექტი უახლოეს მომავალში კვლავაც გაგრძელდება!

სპარტაკ ქოგულია,
ოთარ ტურაგელიძე.

მწერალთა კავშირის სახელით ბაღათერ არაბული და ზაალ ბოტკოველი კულტურის ამაგდარის წოდებით აჯილდოებენ ბატონ ვ. ვეფხვაძეს.

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს - ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის, ლოტი 1 (კმ.0+000-კმ.5+800) მშენებლობა/მოდერნიზაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა გიორგი ქურდაძის (პ/ნ 57001050465), ნონა ქურდაძის (პ/ნ 57001031728), ზურიკო ქურდაძის (პ/ნ 57001038769), ქეთევან ქურდაძის (პ/ნ 57001035850) და ხათუნა ქურდაძის (პ/ნ 57001040082) თანასაკუთრებაში არსებული, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქემფერში მდებარე 3690 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.10.58.390) ნაწილი - 402 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბრის №1-1/456 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს -60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ30.0 - კმ42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა გია ბაბლუანის (პ/ნ 26001004588) და ვენერა ბაბლუანის (პ/ნ 26001021760) თანასაკუთრებაში არსებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, 132 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიე სრულად (საკადასტრო კოდი 27.09.44.292) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე, 130 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სრულად (საკადასტრო კოდი 27.09.44.291) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 16 ნოემბრის №1-1/453 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვალია ცუხიშვილის (პ/ნ 38001001238) შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 35.04.45.032) ნაწილი - 521 კვ. მეტრი, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობა, მრავალწლიანი ნარგავები და ერთწლიანი კულტურა (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 14 ნოემბრის №1-1/450 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ვალია ცუხიშვილის (პ/ნ 38001001238) საკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 35.04.45.032) ნაწილზე - 521 კვ. მეტრზე, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, მრავალწლიან ნარგავებსა და ერთწლიან კულტურაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს - ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის, ლოტი 1 (კმ.0+000-კმ.5+800) მშენებლობა/მოდერნიზაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა გივი ხაჩიძის (პ/ნ 57001010126), გიორგი ხაჩიძის (პ/ნ 57001041268), მარინე მარგველაშვილის (პ/ნ 57001033105) და ნინო ხაჩიძის (პ/ნ 57001046438) თანასაკუთრებაში არსებული, ხაშურის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამში, კაკალათხევში მდებარე 6322 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.04.65.116) ნაწილი - 1 497 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბრის №1-1/456 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ30.0 - კმ42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა გურამ აბაშიძის (პ/ნ 26001008354), თალიკო აბაშიძის (პ/ნ 26001020149), თამაზ აბაშიძის (პ/ნ26001006569), იგორ აბაშიძის (პ/ნ 26001008351), მადლენა სურმანიძის (პ/ნ26001000611), სოფია აბაშიძე - ხოზრევანიძის (პ/ 526001021214) და ტარიელ აბაშიძის (პ/ნ 26001013717) თანასაკუთრებაში არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე, 1275 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 27.08.43.273) ნაწილი - 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე, 2761 კვ. მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 27.08.43.275) ნაწილი-23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 16 ნოემბრის №1-1/453 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს - ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის, ლოტი 1 (კმ.0+000-კმ.5+800) მშენებლობა/მოდერნიზაციის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა ცირა ჩაჩანიძის (პ/ნ 57001000378), ინგა ჩაჩანიძის (პ/ნ 57001032948), ირაკლი ჩაჩანიძის (პ/ნ 57001002692) და ნანული დუნდუას (პ/ნ 57001022828) თანასაკუთრებაში არსებული ხაშურის მუნიციპალიტეტის, სურამის საკრებულოს, სოფელ კაკალათხევში მდებარე 1275 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 69.04.65.539) ნაწილი - 493 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბრის №1-1/456 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

დიდი კაცის ლამაზი შვილი...



გია კალანდაძის ბედისწერა

ისე მოულოდნელად მიილია ორმოცი დღე, როგორი მოულოდნელიც იყო მისი გარდაცვალება. ამ გულიანი და კეთილი კაცის ცხოვრებაც მოულოდნელად გაილია. გიორგი (გია) კალანდაძე ჩვენი უახლოესი კაცის, ყველასათვის სიყვარულისა და ერთგულების გამცემი ადამიანის, საძმოში გამორჩეული „ბაბუს“ თენგიზ კალანდაძის ვაჟი გახლდათ, გვარის ერთადერთი გამგრძელებელი.

სიკვდილშიც ბედნიერი ყოფილა, თენგიზ ბატონი, ვაჟიშვილის გარდაცვალებას რომ ვერ მოესწრო. ჯერ მისი ამქვეყნიდან უცაბედი წასვლით მიყენებული ტკივილი არ გვქონდა განელებული და ახლა სნეული ვაჟიც ეახლა ზეციურ საქართველოს.

ორმოცი დღე გავიდა, დაქვრივებული და შვილმკვდარი დედა ღმერთს ავედრებს ვაჟიშვილის სულს, რათა იმქვეყნიური ნათელი დაადგეს. ახლა ქალბატონი ფოთოლასთვის ყველაზე გაუსაძლისი პერიოდია. საშინელებაა, ახალგაზრდები რომ ასე მოულოდნელად ტოვებენ ამქვეყნიურ ცხოვრებას, ტოვებენ გულმოკლულ ახლობლებს, ერთგულ ადამიანებს.

ჩვენ, გიას მამის მეგობრები, ერთხელ კიდევ შევიკრიბებით და პატივს მივაგებთ იმ დიდებული კაცის ლამაზი შვილის ხსოვნას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

გია ხოფერია

ქართველ არქიტექტორთა რიგებს 75 წლის ასაკში მოულოდნელად გამოაკლდა ლანჩხუთის რაიონის ყოფილი მთავარი არქიტექტორი, შესანიშნავი პიროვნება და ზნეკეთილი ადამიანი

გია ხოფერია.

გიას კეთილშობილება, პრინციპულობა, პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული დიდხანს ემახსოვრებათ მის კოლეგებს.

თანავუგრძნობთ ოჯახის წევრებს.

არქიტექტორები:

ვახტანგ დავითაია, თამარ ჭანტურია, მერაბ გუჯაბიძე, თამაზ დოგრაშვილი, ვახტანგ დოგრაშვილი

იორამ თარხან-მოურავს!

ვიზიარებთ შენს მწუხარებას

შვილიშვილის

გარდაცვალების გამო.

ალეკო ციბაძე და
გულიკო ტაბიძე ოჯახით

დმანისში არასრულწლოვანმა 65 წლის კაცი დაჭრა

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში 17 წლის არასრულწლოვანმა 65 წლის თანასოფლელი დაჭრა. არასრულწლოვანმა კაცს ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენა. შემთხვევას წინ კონფლიქტი უძღოდა. მომხდარის შესახებ სხვა დეტალები უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ᲐᲠᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲡ, ᲛᲔᲓᲔᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ.

„ᲓᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ, ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲡ ᲛᲔᲓᲔᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲛᲔᲓᲔᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲣᲜᲐᲓᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲗᲣ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ. ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲛ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲕᲣᲒᲠᲫᲜᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ.

* * *

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1930 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. 1954 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ. 1954 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ (ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ, �გᲣᲜᲝᲡ „ᲤᲐᲣᲡᲢᲘ“), ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲐᲛ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ: ᲛᲐᲠᲝ, ᲔᲗᲔᲠᲘ, ᲛᲐᲠᲘᲮᲘ (Ზ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲓᲐᲘᲡᲘ“, „ᲐᲛᲔᲡᲐᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲘ“), ᲚᲔᲚᲐ (Რ. ᲚᲐᲦᲘᲫᲘᲡ „ᲚᲔᲚᲐ“), ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ (Ვ. ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ „ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔ�გᲘᲜᲘ“), ᲖᲔᲛᲤᲘᲠᲐ (ᲠᲐᲮᲛᲐᲜᲘᲜᲝᲕᲘᲡ „ᲐᲚᲔᲥᲝ“), ᲑᲐᲢᲔᲠᲤᲚᲐᲘ, ᲛᲘᲛ (ᲞᲣᲩᲘᲜᲘᲡ „ᲩᲘᲝ-ᲩᲘᲝ-ᲡᲐᲜᲘ“, „ᲛᲝᲰᲔᲛᲐ“), ᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ, ᲕᲘᲝᲚᲔᲢᲐ (ᲕᲔᲠᲓᲘᲡ „ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ“, „ᲢᲠᲐᲕᲘᲐᲢᲐ“), ᲔᲚᲖᲐ (ᲕᲐ�გᲜᲔᲠᲘᲡ „ᲚᲝᲔᲜ�გᲠᲘᲜᲘ“).

1981 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ Ვ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ; 1991 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲑᲔᲜ

41 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲛᲘ ᲡᲔᲒᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲡᲢᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ The Apprentice ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲢᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲯᲔᲠᲔᲛᲘ ᲡᲢᲠᲝᲜ�გᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲑᲐᲙᲐᲚᲝᲕᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗᲘ, ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲗᲣ ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲓᲐ 70-80-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲡ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲙᲝᲜᲗᲐᲜ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲯᲔᲠᲔᲛᲘ ᲡᲢᲠᲝᲜ�გᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲑᲐᲙᲐᲚᲝᲕᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲪᲝᲚᲘᲡ, ᲘᲕᲐᲜᲐᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲛᲝᲘᲠᲒᲔᲒᲡ.

ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ 9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ – ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲥᲐᲚᲬᲧᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ... ...ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲓᲐᲣᲓᲒᲐ ᲟᲐᲛᲘ ᲛᲨᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲨᲝᲛᲚᲔᲑᲡ – ᲬᲛᲘᲓᲐ ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲐᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜ�გᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ, ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲘᲔᲧᲕᲐᲜᲐᲗ ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲡᲣᲚᲘ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲜᲐᲗᲐᲜᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲝᲚᲝ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲜᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲜᲘ ᲡᲐᲛᲪᲕᲓᲔᲚᲝᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲗ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ...

ᲧᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲡ ᲡᲐᲓᲔᲓᲝᲤᲚᲝ ᲨᲔᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ ᲩᲐᲐᲪᲕᲔᲡ! ...ᲛᲐᲗ ᲢᲐᲫᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲗᲐ ᲒᲐᲚᲝᲒᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲚᲔᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ!

ᲓᲐ ᲐᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲛᲝᲖᲔᲘᲛᲔ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲔᲣᲤᲔᲠᲘᲡᲐ – ᲧᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ. ᲣᲤᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲝᲓᲜᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲥᲐᲚᲬᲧᲣᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲪᲘᲚᲔᲒᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲡ. ...ᲢᲐᲫᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ, ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ.

ᲧᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲙᲘᲑᲝᲖᲔ ᲤᲔᲮᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ, ᲓᲐᲣᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲘᲠᲑᲘᲜᲐ 15 ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲒᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲔᲮᲘᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ. ᲗᲕᲘᲗ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ ᲡᲣᲚᲘᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲛᲐ, ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲠᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲡᲐ, �გᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲙᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲝᲛᲜᲐᲜᲘ, ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐᲑᲠᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘ; ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲙᲐᲓᲜᲘᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲥᲐᲚᲬᲧᲣᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲗᲐᲑᲐᲚᲐᲨᲘᲐ

ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣᲡ, Binance-ᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ. ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲛᲝᲛᲩᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲔᲚᲡ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲑᲘᲠᲯᲣᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ $1-ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ. Binance-Ი ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲖᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ $4 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ.

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣᲛ Binance-ᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ 2022 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲓᲐ NFS-ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲞᲝᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ 849 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲔᲠᲨᲘ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲛᲝᲜᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ.

ᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ „ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲑᲮᲛᲐᲠᲐ“ Binance-Ს ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲨᲘ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ, ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣᲡ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲛᲝᲜᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ.

GUCCI-Ს ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲤᲘᲪᲜᲔᲜ

ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐᲡ ᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲡ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ Gucci-Ს ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Kering-ᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ 219 ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘᲓᲐᲜ 153-Ს ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ Gucci-Ს 102-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲑᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ 4-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲓᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
Ა.ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №116 (ᲓᲘᲓᲣᲑᲔ ᲞᲚᲐᲖᲐ)

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲝᲗᲐᲠ ᲤᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢ-ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ᲛᲐᲘᲐ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ
ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲕᲘᲚᲘᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ
GE90BG0000000538329790

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
ᲨᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
Ს–323

2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ